

# სასამართლო სისტემის სტრატეგია

## 2017-2021 წლებისთვის

შესავალი .....	2
სასამართლო სისტემის სტრატეგიის ფორმირების მეთოდოლოგია.....	3
დოკუმენტის სტრუქტურა.....	4
სასამართლო სისტემის მისია და ხედვა .....	4
I სტრატეგიული მიმართულება: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.....	5
II სტრატეგიული მიმართულება: ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა .....	12
III სტრატეგიული მიმართულება: ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა .....	16
IV სტრატეგიული მიმართულება: სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა .....	19
V სტრატეგიული მიმართულება: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა .....	24
სასამართლო სისტემის სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი .....	28
დანართი 1 - წინარე ისტორია.....	30
დანართი 2 - სტრატეგიული კომიტეტის შემადგენლობა .....	35
დანართი 3 - გამოყენებული დოკუმენტები და სხვა მასალა .....	38

## შესავალი

სასამართლო სისტემის რეფორმა სახელმწიფო მნიშვნელობის პროცესია, რომელიც ემსახურება სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სტრატეგიული მიმართულებები უნდა პასუხობდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას საერთო სასამართლოების სისტემაში, ასევე ითვალისწინებდეს არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის საუკეთესო გზებს/საშუალებებს გვთავაზობდეს.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლებამ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შემუშავა სასამართლო სისტემის 5-წლიანი სტრატეგია (შემდგომში-სტრატეგია) და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია ასახავს: საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიას 2014–2020 წლებისთვის, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სასამართლო რეფორმის სტრატეგიას 2017-2021 წლებისთვის, საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიას და სამთავრობო პროგრამის დოკუმენტს - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის.“ სტრატეგია ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლოების მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს, რათა სასამართლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მაქსიმალურად დაეხმაროს საქართველოს სწრაფვას, გაერთიანდეს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში.

სტრატეგიის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისთვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად და სამოქალაქო საზოგადოების ფართო მონაწილეობით, ჩამოყალიბდა სტრატეგიული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილნი არიან: საერთო სასამართლოების მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო, სახალხო დამცველი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები. სტრატეგიის შემუშავების პროცესის მართვას ორგანიზებას უწევდა საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფი“.

სტრატეგიაზე მუშაობა დონორი ორგანიზაციების - „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ), ევროკავშირის „სასამართლო მხარდაჭერის პროექტის“, საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერითა და აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა. სტრატეგიის შემუშავება დონორების მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების<sup>1</sup> ხელმძღვანელობით წარიმართა.

<sup>1</sup> ალექსანდრე ზალარი, სლოვენის ყოფილი იუსტიციის მინისტრი; რენატე ვინტერი, ევროკავშირის „სასამართლო მხარდაჭერის პროექტის“ ხელმძღვანელი, გაეროს სპეციალური სასამართლოს მოსამართლე და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე; ბულგარეთის რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრი დიანა კოვაჩევა.

## სასამართლო სისტემის სტრატეგიის ფორმირების მეთოდოლოგია

სტრატეგიის შექმნის მიზანია სასამართლო განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ტაქტიკური ნაბიჯების დაგეგმვა ხუთწლიანი პერიოდისათვის.

სტრატეგიის შემუშავების მიზნით შეიქმნა სტრატეგიული კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდა არა მხოლოდ საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, არამედ, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. კომიტეტში მუშაობდა ოთხი ჯგუფი, ოთხი სტრატეგიული მიმართულების ირგვლივ:

- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ანგარიშვალდებულება;
- ხარისხი და ეფექტიანობა;
- ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა და სანდოობა.

დოკუმენტში ასახული საკითხები მომზადდა და განიხილულ იქნა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

### განხორციელებული სამუშაოები:

1. სასამართლო სისტემის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან ჩაწერილი 50-მდე ინტერვიუ: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან, მოსამართლეებთან და სასამართლოების აპარატის თანამშრომლებთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებთან, დაინტერესებულ მხარეებთან: იუსტიციის სამინისტროსთან, ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტთან, მთავარ პროკურატურასთან, სახალხო დამცველთან, იურისტებთან, იურიდიული დახმარების სამსახურთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან; საერთაშორისო წარმომადგენლობებთან: ამერიკის საელჩოსთან, ევროსაბჭოს წარმომადგენლობასთან საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამასთან, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), დამოუკიდებელ ექსპერტთან „ბრენდინგსა“ და კომუნიკაციებში.

### 2. ონლაინ გამოკითხვა:

მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და იუსტიციის საბჭოს აპარატის თანამშრომლების გამოკითხვა; გამოკითხვის შედეგების (40-მდე გამოხმაურება) საფუძველზე მოკლე ანალიზის მომზადება.

3. საერთაშორისო და რეგიონალური დოკუმენტებისა და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი.<sup>2</sup> ქვეყნის შიგნით შექმნილი სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, ანგარიშებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი.

### 4. შეხვედრები სტრატეგიული კომიტეტის სამუშაო ჯგუფებთან:

თითოეულ სამუშაო ჯგუფთან გაიმართა 6-8 სამუშაო შეხვედრა (რომელსაც წინ უძღოდა ჯგუფის ხელმძღვანელებთან მოსამზადებელი შეხვედრები) და განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სასამართლო სისტემის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევები/პრობლემები და შესაძლებლობები, რაც სისტემას გააჩნია;

<sup>2</sup> იხილეთ დანართი 3.

სტრატეგიის თითოეული მიმართულებისათვის დასახული მთავარი ამოცანები, აქტივობები/პროგრამები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად; კომიტეტის 5 შეხვედრაზე გამოკვეთილი პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების საფუძველზე, დასახული ამოცანების გადასაწყვეტად მიდგომების შემუშავება და თითოეული სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშების მოსმენა.

## დოკუმენტის სტრუქტურა

სტრატეგია სამნაწილიანია. პირველი ნაწილი ასახავს სასამართლოს მისიასა და სასამართლო ხელისუფლების ხედვას სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. მეორე ნაწილი ეხება 5 სტრატეგიულ მიმართულებას და მიმოიხილავს თითოეული მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ძირითად ამოცანებსა და მიზნის მიღწევის მთავარ ზომებს. ბოლო ნაწილი ეხება სტრატეგიის განხორციელების მექანიზმს და მონიტორინგისა და შეფასების პროცედურას.

სტრატეგიაში გამოყენებულ ტერმინთა მოკლე განმარტება:

*სტრატეგიული მიმართულება* - სისტემის წინაშე მდგარი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც წარმოადგენს მთავარ ღერძს სასამართლოს ხედვისა და მისიისრეალიზაციისთვის;

*გამოწვევა* - რისკის მატარებელი აქტუალური საკითხი, შესაძლებლობა ანდა საფრთხე, რომელიც მოითხოვს დროულ რეაგირებას, უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით;

*ამოცანა* - პერმანენტული ხასიათის საკითხი, რომელიც მოითხოვს მიზანმიმართულ და უწყვეტ მუშაობას სასურველი შედეგის მისაღწევად;

*მთავარი პროგრამები* - სტრატეგიული მიმართულებები და ქვემიმართულებები, რომლებიც ემსახურება კონკრეტული ამოცანების გადაჭრას.

## სასამართლო სისტემის მისია და ხედვა

*სასამართლოს მისია:*

- განმარტოს კანონი და სასამართლო დავები გადაწყვიტოს სამართლიანად, კანონის შესაბამისად, განჭვრეტადობის უზრუნველყოფითა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანით; უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება და ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას;
- განახორციელოს თანაბრად ხელმისაწვდომი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება საჯარო პროცესის მეშვეობით, მოეპყრას მხარეებს ღირსებითა და პატივისცემით;

- იზრუნოს ადამიანის უფლებების დაცვისა და საერთო კეთილდღეობისათვის, ემსახუროს ხალხს, მის მუდმივად ცვლად ინტერესებსა და საჭიროებებს;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სტაბილურობასა და ჰარმონიას, არსებული სამართლებრივი სისტემისადმი, სამართლიანობისადმი ხალხის ნდობის გაღვივებას.

#### სასამართლო ხელისუფლების ხედვა:

- უზრუნველყოს ინდივიდუალური მოსამართლისა და სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა; აღმოფხვრას საფრთხეები, რათა მოსამართლის გადაწყვეტილებამ გავლენა არ მოახდინოს მისი უფლებამოსილების ვადაზე, ანაზღაურებასა ან უსაფრთხოებაზე;
- დანერგოს და აამოქმედოს „კარგი მმართველობის“ პრინციპები სასამართლო ხელისუფლებაში, უზრუნველყოს სასამართლოს ეფექტიანი მმართველობა და ფუნქციონირება; შექმნას საფუძველი ძლიერი, ავტორიტეტული და კორუფციისაგან თავისუფალი სასამართლო ხელისუფლებისათვის;
- უზრუნველყოს უმაღლესი იურიდიული და ადმინისტრაციული სტანდარტი, იზრუნოს სასამართლოს მოდერნიზაციის, ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისათვის; ადამიანური რესურსების განვითარების, მათი მოტივაციის გაძლიერების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდისათვის;
- ანგარიშვალდებული იყოს საზოგადოების წინაშე კანონისა და ეთიკის ნორმების დაცვის, სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი გამოყენების, საქმიანობის გამჭვირვალობის, ღიაობისა და მასში საზოგადოების ფართო ჩართულობის მეშვეობით;
- დაიმსახუროს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა მართლმსაჯულების თვალსაჩინოების უზრუნველყოფითა და თავისი ფუნქციების კეთილსინდისიერი შესრულებით.

## I. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

### სტრატეგიული მიმართულების განმარტება

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლიანი მართლმსაჯულების აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც ვერ მიიღწევა სამართლის უზენაესობა საზოგადოებაში, ადამიანის უფლებათა დაცვა და არსებული სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის გაღვივება. უახლესი წარსულის გათვალისწინებით, ქართული მართლმსაჯულება უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. სტრატეგიის ამ ნაწილის მიზანია ამ გამოწვევების იდენტიფიცირება და განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

სტრატეგია ეფუძნება ქართულ რეალობასა და სპეციფიკას და ხელმძღვანელობს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სფეროში საერთაშორისო მიდგომებითა და სტანდარტებით, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

სტრატეგია ითვალისწინებს და ამკვიდრებს ყველა იმ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლებიც გადმოცემულია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ უმთავრეს საერთაშორისო ინსტრუმენტებში, როგორებიცაა: მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპული ქარტია, მოსამართლეთა მაგნა კარტა, ბანგალორის პრინციპები და სხვა.

## ძირითადი გამოწვევები

### 1. დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიების ნაკლებობა:

სასამართლოს დამოუკიდებლობის არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიები, მოსამართლის დისკრეციის მეტისმეტად შემზღვეველი მატერიალური და საპროცესო ნორმები; იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარეების საქმიანობის მომწესრიგებელი განსაზღვრული ნორმები; მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის სისტემის არაეფექტურობა, მათ შორის, ხარვეზიანი ინფორმაციის მოპოვების მეთოდიკა; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის პოლიტიკური და სხვა არასათანადო გავლენისგან დაცულობის რეალური საფრთხე.

### 2. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და კარიერული წინსვლის სისტემის არაეფექტურობა:

მოსამართლის დაწინაურების სისტემისა და არსებული კრიტერიუმების ბუნდოვანება, პროფესიული შეფასების შედეგებთან მისი დაუკავშირებლობა; შიდა და გარე კონკურსების ჩატარების შეუძლებლობა.

### 3. მენეჯმენტის ხარვეზები:

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შემდეგი რისკები: მოსამართლეთა სიმცირე, საქმეთა ელექტრონული განაწილების არარსებობა, სასამართლოების საქმეებით გადატვირთვა და მოსამართლეთა არათანაბარი დატვირთვა, სპეციალიზაციის პრინციპის ხარვეზი და რეგიონის მოსამართლეების ნაკლები ჩართულობა მენეჯმენტში არსებული პრობლემების დაძლევაში.

### 4. სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა და საერთაშორისო სტანდარტები:<sup>3</sup>

მოსამართლის საგამოცდო ვადით დანიშვნა, სამოსამართლო გამოცდილების მიუხედავად; უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გამორიცხვა უვადოდ გამწესების პროცესიდან.

### 5. მოსამართლის სოციალური გარანტიების არასაკმარისობა.

მოსამართლის ანაზღაურების დაანგარიშების არაეფექტური სისტემა: სამოსამართლო და საერთო სტაჟის გაუთვალისწინებლობა, არათანაბარი მიდგომები სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლისადმი, პენსიების არაადეკვატური ოდენობა; ხელფასებისა და პენსიების დაუცველობა ინფლაციისაგან.

### 6. დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის სამართლიანი ბალანსის ნაკლებობა:

მოსამართლეთა პერიოდული, პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემის ხარვეზიანობა უვადოდ გამწესებისას. კანონის განზრახ, უხეში დარღვევის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ეფექტური რეაგირების საშუალებების არ

<sup>3</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისათვის (ვენეციის კომისია) ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი (DHR); ადამიანის უფლებათა დირექტორატი (DGI); ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE).

არსებობა, მოსამართლის კანდიდატის მიერ საბჭოს წევრზე ზეწოლის, ზეგავლენის ან არასათანადო კომუნიკაციის რეაგირების გარეშე დატოვება.

7. **მოსამართლეებში დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების შინაგანი განცდის ამაღლებისა და საერთაშორისო სამართლის გამოყენების აუცილებლობის შეგნების მუდმივი სრულყოფის საჭიროება:** სასამართლოს დამოუკიდებლობის აღიარების დაბალი ხარისხი საზოგადოებაში, პოლიტიკოსებისა და მედიის მხრიდან მომდინარე საფრთხე, სასამართლოსთან მიმართებით დასაშვები კრიტიკის ფარგლების სტანდარტების დაუცველობა, საქმეთა განხილვის პროცესის გაშუქების სტანდარტების არაეფექტურობა.
8. **დამოუკიდებლობის ხელყოფის პრევენციისა და დამცავი მექანიზმების ნაკლებობა:** ზეწოლის, ზეგავლენისა და არასათანადო კომუნიკაციის საფრთხეების პრევენციის საჭიროება, მოსამართლის დაუცველობა უსამართლო კრიტიკის დროს, შესაბამისი რეაგირების მექანიზმების არარსებობა ან არაქმედითობა, მოსამართლის შემოქმედებითი მიდგომების წაუხალისებლობა; განსხვავებული აზრის შედგენის დაბალი კულტურა.
9. **დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების არასაკმარისობა:** დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების შემოწმების სისტემისა და მეთოდის არარსებობა, არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების სიხშირე; სამოსამართლო ეთიკის ნორმების ბუნდოვანება, ეთიკის ნორმების არასაკმარისი სწავლება/ტრენინგი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილების რეგულაციების არარსებობა; საზოგადოებასთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს არაეფექტიანი კომუნიკაცია.

## ამოცანები და მთავარი პროგრამები

### 1. სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

- 1.1 სასამართლოს დამოუკიდებლობის საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცება:
  - 1.1.1. გაუქმდეს/აიკრძალოს მოსამართლის საგამოცდო ვადით დანიშვნა საერთო სასამართლოების სისტემაში. მოსამართლე გამწესდეს უვადოდ, საპენსიო ასაკამდე.<sup>4</sup>
  - 1.1.2. დადგინდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევა უვადოდ, საპენსიო ასაკამდე.
  - 1.1.3. შემუშავდეს მოსამართლის უვადოდ არჩევის განახლებული წესი, კრიტერიუმები და პროცედურა; პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებით როლს კანდიდატურების წარდგენისას. ეს როლი შეიძლება გამოიხატებოდეს კანდიდატის შესახებ აზრის, წინადადების ჩამოყალიბებაში ან

---

<sup>4</sup> ამ ნორმის ამოქმედება შეიძლება გადავადდეს იმ დრომდე, სანამ არ გაუმჯობესდება საკვალიფიკაციო გამოცდის, კანდიდატთა შერჩევისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ვადა და ხარისხი, არ ჩამოყალიბდება მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული შეფასების ეფექტიანი სისტემა. საგამოცდო ვადით დანიშვნა შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

- რეკომენდაციის გაწევაში. სასურველია, რომ წინადადებას გააჩნდეს სავალდებულო ძალა;
- 1.1.4. დადგინდეს მოსამართლის ფუნქციური იმუნიტეტი. განისაზღვროს, რომ მის წინააღმდეგ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის შეტანა, თუ ზიანის გამოწვევა დაკავშირებულია მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან; გაიწეროს იმუნიტეტის მოხსნის ცხადი და გამჭვირვალე პროცედურა;
  - 1.1.5. საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა თავს დაემატოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება;
  - 1.1.6. კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნეს დამოუკიდებლობის სხვა გარანტიები, რომ სასამართლო ახორციელებს თვითმართვასა და ადმინისტრირებას; დადგინდეს, რომ სასამართლოს ბიუჯეტი ოდენობით არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები და მოსამართლეთა ხელფასები (მათ შორის, დანამატებიც) კანონით იყოს ფიქსირებული;
  - 1.1.7. განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და დამოუკიდებლობა, ასევე, მისი ანგარიშვალდებულება მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენციისა და საზოგადოების წინაშე.
- 1.2 იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თვითმმართველობის განვითარება:
- 1.2.1. განმტკიცდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუტის, დამოუკიდებლობა, დაიხვეწოს საბჭოს დაკომპლექტების წესი; გაიწეროს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა არჩევის/დანიშვნის ობიექტური კრიტერიუმები და გამჭვირვალე პროცედურა; პროცედურებმა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს ყველა ინსტანციის სასამართლოსა და რეგიონების სასამართლოების წარმომადგენლობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;
  - 1.2.2. შემოღებულ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის თანდათანობით განახლების წესი, მისი ინსტიტუციური მეხსიერების განგრძობადობისა და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად;
  - 1.2.3. გაძლიერდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალეობა, გააქტიურდეს გაფართოებული სხდომების ჩატარების პრაქტიკა, უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და არადისკრიმინაციული მიდგომების დემონსტრირება ინდივიდუალურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას; ასევე, დროულად მიეწოდოს ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებას, ყოველწლიური ანგარიშებისა თუ სტატისტიკური მონაცემების შედგენისა და გამოქვეყნების პრაქტიკის დანერგვით;
  - 1.2.4. გაძლიერდეს სასამართლოს თვითმმართველობა, მოსამართლეთა კონფერენციის როლი;
  - 1.2.5. აღიჭურვონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების, ფუნქციური იმუნიტეტით და უზრუნველყოფილ იქნენ მოსამართლის მსგავსი სოციალური დაცვის გარანტიებით; ხელი შეეწყოს საზოგადოებაში ისეთი ცნობიერების დამკვიდრებას, რომ საბჭოს არამოსამართლე წევრები მიეკუთვნებიან სასამართლო ხელისუფლებას და ანგარიშვალდებულნი არ არიან იმ ხელისუფლების ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა წინაშე, ვინც ისინი აირჩია ან დანიშნა თანამდებობაზე;



1.2.6. განისაზღვროს საქართველოს პარლამენტში სასამართლოს წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა სასამართლო რეფორმისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო წინადადებების განხილვისას.

1.3 სასამართლოს საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცება:

1.3.1. განხორციელდეს ღონისძიებები სასამართლოს საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. უზრუნველყოფილ იქნეს რეალური ბიუჯეტის საკმარისობა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ბიუჯეტთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარება. ორგანული კანონით დადგინდეს, რომ სასამართლოს ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები; განისაზღვროს სასამართლოს უფლება, პირდაპირ წარუდგინოს პარლამენტს ბიუჯეტი, თუ მთავრობა უარს ეტყვის გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

## 2. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

2.1 მოსამართლის დანიშვნისა და დაწინაურების სისტემის სრულყოფა:

2.1.1. დაიხვეწოს იუსტიციის სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა;<sup>5</sup> შემუშავდეს მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსამართლეთა მუდმივი პერიოდული შეფასების შედეგებთან;<sup>6</sup>

2.1.2. სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე გამწესების პროცედურის, ვადების და კომპეტენციის თაობაზე არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.<sup>7</sup>

2.1.3. დაინერგოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების დასაბუთებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი.

2.2. მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპის უზრუნველყოფა:

2.2.1. დადგინდეს მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი კონსტიტუციით და განისაზღვროს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური საჩქცის ან კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. შესწავლილ იქნეს პრაქტიკაში აღნიშნული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვის საკითხი;

2.2.2. დადგინდეს, რომ სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ნორმის განმარტებამ, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასებამ არ შეიძლება

<sup>5</sup> შეიქმნას და პრაქტიკაში დაინერგოს კანდიდატების შესახებ რელევანტური ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ეფექტიანი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას შექმნის, შეირჩეს ყველაზე პრინციპული, კომპეტენტური და მაღალი მორალური თვისებების მქონე კანდიდატი; ინფორმაციისთვის ასევე იხილეთ პროფესიონალიზმის თავი, გვერდი 18, 3 პუნქტი.

<sup>6</sup> კანონით უზუსტად უნდა განისაზღვროს პროცედურა და ორგანოები, ვისაც შეფასება დაევალება; ამასთან, დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურა უნდა გაიმოქნოს მოსამართლის დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურებისაგან.

<sup>7</sup> მათ შორის, რეკომენდებულია სასამართლოს თავმჯდომარის შესაბამისი გადამზადება მართვისა და მენეჯმენტის ტრენინგ კურსში.

გამოიწვიოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა, გარდა შემთხვევისა, როდესაც დადასტურებულია კანონის განზრახ უხეში დარღვევა.

2.3. ანაზღაურებისა და საპენსიო სისტემის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

2.3.1. შემოღებულ იქნეს ხელფასისა და პენსიის განსაზღვრის ერთიანი სქემა ყველა მოსამართლისათვის ერთგვაროვანი და სამართლიანი მიდგომების გამოყენებით; ორგანული კანონით დადგინდეს, რომ მოსამართლეს აქვს შეუმცირებადი ხელფასისა და პენსიის უფლება, რაც გულისხმობს, მათ შორის, ხელფასისა და პენსიის დაცვას ინფლაციისაგან;

2.3.2. დადგინდეს მოსამართლის ხელფასისა და დანამატის ფიქსირებული ოდენობა კანონით, აღნიშნული ოდენობა არ უნდა უკავშირდებოდეს მოსამართლის საქმიანობის შეფასების შედეგებს;

2.3.3. გადაიხედოს ორგანული კანონით განსაზღვრული საპენსიო სისტემა; დადგინდეს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლეს პენსიით, რომელიც ოდენობით მიახლოებული უნდა იყოს მის ბოლო სამოსამართლო ხელფასთან; აღმოიფხვრას დისპროპორციული განსხვავება უზენაესი სასამართლოსა და ქვედა ინსტანციის მოსამართლეების პენსიის ოდენობას შორის. აღნიშნული უნდა განხორციელდეს საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების ერთიანი რეფორმის კონტექსტში და საპენსიო რეფორმის გათვალისწინებით. ასევე, ხელფასი და პენსია გარანტირებული უნდა იყოს მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებების პირობებში.

**3. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა**

უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოს მიუკერძოებულობა არა მარტო სამართლებრივად, არამედ - პრაქტიკაშიც; მოსამართლეები უნდა ზრუნავდნენ, რომ თვითნაირი ფუნქციები განახორციელონ მხარეებისადმი თანაბარი მოპყრობით, ყოველგვარი მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, რათა დაცულ იქნეს მხარეების უფლება სამართლიან განხილვაზე და გონივრულად დაბალანსდეს მათი ინტერესები;

3.0.1. განისაზღვროს კანონისმიერი გარემოებები, რომლის დროსაც მოსამართლეობის კანდიდატის წარსული საქმიანობა წარმოშობს მართებულ და საფუძვლიან ეჭვს ამ კანდიდატის მიუკერძოებლობისადმი და წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას მოსამართლედ მისი გამწესებისათვის; დაიხვეწოს და მოწესრიგდეს სხვა საქმიანობასთან მოსამართლის თანამდებობისა და სტატუსის თავსებადობა: ორგანული კანონით შემოღებულ იქნეს პროცედურა, რომელსაც მოსამართლე გამოიყენებს სამოსამართლო მოვალეობებთან ამა თუ იმ საქმიანობის შეთავსების შესამოწმებლად და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად; დაეექვემდებაროს მონიტორინგს მოსამართლის შეუცვლელობა/კეთილსინდისიერება;

3.0.2. განხორციელდეს მოსამართლეების მიერ წარდგენილი ყოველწლიური ქონებრივი დეკლარაციების საფუძველზე მისი „პატიოსნების შემოწმება“ (integrity checks). ხელისუფლების სტრუქტურაში შეიქმნას ორგანო - სასამართლო ინსპექტორატი ან დამოუკიდებელი კომისია, რომელიც შეამოწმებს დეკლარირებული ფაქტების ნამდვილობას და მოამზადებს, დასკვნას დაუსაბუთებელი ქონების არსებობის შესახებ.

3.0.3. დაინერგოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სასამართლოს ობიექტური და სუბიექტური მიუკერძოებლობის ტესტით შეფასების სფეროში;<sup>8</sup> გაუმჯობესდეს საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილების საფუძვლებთან დაკავშირებით; მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი შესაბამისობაში მოვიდეს ამ პრინციპებთან.

#### 4. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის უზრუნველყოფა და ხელისშემშლელი ფაქტორების პრევენცია

##### 4.1 სასამართლო ხელისუფლების დაცვის შიდა მექანიზმების გაძლიერება.

4.1.1. დადგინდეს მოსამართლისათვის ქმედითი მისაგებელი (legal remedy) - უფლება, მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და განხორციელდეს შესაბამისი პროცედურა, რომელსაც მოსამართლე გამოიყენებს მისი უფლებების, დამოუკიდებლობისა თუ კანონიერი პროცედურების მიმართ რაიმე ფორმით საფრთხის შექმნისა თუ/ან უგულვებელყოფის შემთხვევაში. დამოუკიდებელი ორგანო აღიჭურვოს კონკრეტული ეფექტიანი საშუალებებით, დაიცვას მოსამართლე შიდა თუ გარე ზეგავლენებისაგან, გამოასწოროს მდგომარეობა ან შესთავაზოს მისი გამოსწორების გზები;

4.1.2. განხორციელდეს სისხლის სამართლის მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის იმ ნორმათა იდენტიფიცირება და შეიცვალოს ის მიდგომა, რომლებიც მეტისმეტად ზღუდავს მოსამართლის მიხედულების ფარგლებს და არ იძლევა შინაგანი რწმენის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; ეს ამოცანა უნდა შესრულდეს, მოსამართლეთა კორპუსის ფართო ჩართულობით; ასევე, შეეწყოს ხელი მართლმსაჯულების პროცესში შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებას, განსხვავებული (თანმხვედრი ან საპირისპირო) აზრის შედგენის კულტურის ამაღლებას;

4.1.3. გაიზარდოს რეგიონის მოსამართლეების ჩართულობა სასამართლო სისტემის მართვასა თუ მართლმსაჯულების რეფორმირებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

4.1.4. შემცირდეს რისკი, რომ საქმეებით გადატვირთვამ მოსამართლეები არ გახადოს მოწყვლადი და უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მათი დამოუკიდებლობის ხარისხზე.<sup>9</sup>

##### 4.2. სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა გარე ზეგავლენებისგან

4.2.1. გაუმჯობესდეს სასამართლოს/მოსამართლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემა;

4.2.2. განხორციელდეს „სასამართლოს უპატივცემულობის“ საკანონმდებლო ფორმულირების ახლებურად გააზრება და რეფორმირება;

<sup>8</sup> კანონით უნდა განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მონაწილეობა ამა თუ იმ საქმის განხილვაში მომავალში გამორიცხავს იმავე საქმეში მის მონაწილეობას ამა თუ იმ ფორმით, მოსამართლის ობიექტური დამოუკიდებლობის შეფასების ტესტის შესაბამისად.

<sup>9</sup> ამ მიზნით დროულად უნდა ამოქმედდეს საქმეთა შემთხვევითი, თანაბარი და სპეციალიზაციის მიხედვით განაწილების ელექტრონული სისტემა, საქმეთა წონითი სისტემის აპრობირებული მეთოდის გამოყენებით სწორად განისაზღვროს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა, აუცილებლობის შემთხვევაში გაიზარდოს მათი რიცხვი, ხელი შეეწყოს საქმის წარმოების ეფექტიან მენეჯმენტსა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებას.

- 4.2.3. გაძლიერდეს საზოგადოებასთან სასამართლოს ეფექტიანი კომუნიკაცია, განვითარდეს სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი.<sup>10</sup> იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და სასამართლომ გააუმჯობესონ პროაქტიულად ინფორმაციის დროული მიწოდება მედიისა და საზოგადოებისათვის;
- 4.2.4. ხელი შეეწყოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის დაცვას, საზოგადოების (პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ადვოკატები და სხვა) ცნობიერების განვითარებას საქმეთა განხილვის გაშუქების კულტურის ამაღლებასა და ასევე, მოსამართლის, სასამართლოსა და სასამართლო გადაწყვეტილების „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებთან დაკავშირებით; სასამართლომ აქტიურად ითანამშრომლოს ამ პრინციპებთან ადვოკატებისა თუ ჟურნალისტების პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისობისათვის.

**4.3 დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების გაზრდა და დარღვევების პრევენცია**

- 4.3.1. ხელი შეეწყოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების უზრუნველყოფას სასამართლო პროცესის წარმართვისა თუ გადაწყვეტილების მიღების დროს; გაძლიერდეს მოსამართლეთა სწავლება, თუ როგორ შეინარჩუნონ მიუკერძოებელი და პოლიტიკურად ნეიტრალური მსაჯულის ავტორიტეტი; ამაღლდეს მოსამართლეებში „თავშეკავების ვალდებულების“ დაცვის ცნობიერება, მათ შორის- საქმეებზე კომენტარისა თუ მათ წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავებისა და კონკრეტულ საქმეებზე მედიასთან მათი ურთიერთობის შეზღუდვის საკითხებში;
- 4.3.2. შემუშავდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების შემოწმების სისტემა და მეთოდოლოგია;
- 4.3.3. დაინერგოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ყოველწლიურად ანგარიშების გამოქვეყნების პრაქტიკა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
- 4.3.4. ამაღლდეს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხი<sup>11</sup> დასაბუთებულობის შემოწმების კრიტერიუმების დადგენით; გაუმჯობესდეს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების არსებული პრაქტიკა.

**II. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა**

**სტრატეგიული მიმართულების განმარტება**

ანგარიშვალდებული მართლმსაჯულება გულისხმობს როგორც მოსამართლისა და სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებას გადაწყვეტილებების კანონიერებაზე,<sup>12</sup> გონივრულ ვადაში საქმის წარმოებაზე, ქცევის სტანდარტებისა და სამოსამართლო ეთიკის ნორმების დაცვაზე, ასევე- პროცესისა და სისტემის ღიაობას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფასეულობის დაცვაზე,

<sup>10</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ ანგარიშვალდებულების თავში, გვერდი 15, 4 პუნქტი

<sup>11</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ ხარისხის და პროფესიონალიზმის თავში, გვერდი 18, 4 პუნქტი

<sup>12</sup> ანგარიშვალდებულების ეს განმარტება არ გულისხმობს მხოლოდ პასუხისმგებლობას (განსაკუთრებით კი მხოლოდ პასუხისმგებლობის სახეებს). ანგარიშვალდებულება განხილულია ფართო კონტექსტში, სადაც როგორც ინდივიდუალური მოსამართლე, ისე მთლიანად სასამართლო სისტემა ანგარიშვალდებულია, საზოგადოება უზრუნველყოს სამართლიანი, დამოუკიდებელი, ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულებით.

სასამართლოსა და მოსამართლის ანგარიშვალდებულების მექანიზმების დახვეწასა და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებაზე.

## **ძირითადი გამოწვევები**

### **1. სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების ხარვეზიანობა:**

მოქმედი კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს მოსამართლეთა სამართლებრივ პასუხისმგებლობას სამართალწარმოების განხორციელების პროცესში კომუნიკაციის წესების დარღვევისა თუ არასამოსამართლო საქმიანობისას სხვადასხვა გადაცდომის არსებობისას. სათანადოდ არ არის დაკონკრეტებული და გამიჯნული, თუ რა მიიჩნევა მოსამართლის მხრიდან სამართლებრივ თუ დისციპლინურ დარღვევად.

### **2. სამოსამართლო ეთიკის წესების გაუმჯობესება:**

ეთიკის წესები არ შეიცავს ზუსტ განმარტებებს ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით. საჭიროა, ეთიკის წესები დაზუსტდეს პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, რათა მოსამართლეებმა მიიღონ მაქსიმალურად სრული და მკაფიო ინფორმაცია ქცევის სტანდარტებთან მიმართებით.

### **3. დისციპლინული სამართალწარმოების ნაკლები გამჭვირვალობა და ელექტრონული საქმისწარმოების არარსებობა:**

ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა უზრუნველყოფს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების გამჭვირვალობას.

### **4. სასამართლო სისტემის ნაკლები კომუნიკაცია საზოგადოებასთან:**

გადასახედია კომუნიკაციის სტანდარტები სასამართლოსა და გარე მხარეებს შორის, დასახვეწია სასამართლო მოხელეების - მონაწილე მხარეებთან, სასამართლოს/მოსამართლის მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია. შესაქმნელია ეფექტური ფორმატი საზოგადოების სამართლებრივი ცოდნის ამაღლების კუთხით და ინფორმაციის გავრცელების ეფექტურობისათვის.

### **5. სასამართლო სისტემაში სტატისტიკის წარმოების არაერთგვაროვნება და ანალიტიკური მიმართულების თანამედროვე სტანდარტის არარსებობა:**

სასამართლო სტატისტიკის წარმოების პრინციპი ხარვეზიანია და ერთიანი მეთოდოლოგიით ვერ ხორციელდება. არ არსებობს ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფა და ვერ ხდება სასამართლო ინსტანციებს შორის ინფორმაციის გაცვლა. სათანადოდ არ არის განვითარებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგია. სასამართლოს სტატისტიკა ნაკლებად არის მომხმარებელზე ორიენტირებული. ადმინისტრირების პროცესში სათანადოდ არ გამოიყენება სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაცია.

### **6. სასამართლოს ვებგვერდებზე ანგარიშებისა და ინფორმაციის არასრულად, არასისტემატურად და ერთიანი სტანდარტის დაუცველად გამოქვეყნება:**

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისას ეფექტურად არ გამოიყენება სასამართლოს ვებგვერდები (სოციალური მედია). სისტემატურად არ ქვეყნდება სასამართლოების ანგარიშები და სხვა ინფორმაცია, რაც ართულებს დაინტერესებული პირებისთვის საერთო სასამართლოებზე ინფორმაციის მიღებასა და გაანალიზებას.

## **ამოცანები და მთავარი პროგრამები**

### **1. მოსამართლეთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ეთიკის ნორმების დახვეწა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად:**

ამოცანა გულისხმობს საფუძვლების, სტანდარტებისა და ნორმების გადახედვას და იმ ქმედებათა სიცხადესა და განჭვრეტადობაზე ორიენტირებას, რომლებზეც მოსამართლე აგებს პასუხს.

**1.1** მკაფიოდ გაიმიჯნოს და უფრო ცხადი გახდეს მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სახეები და საფუძვლები. სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები კანონებში და/ან რეგულაციებში ჩამოყალიბდეს ისე, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ მოექცეს არასათანადო ზეწოლის ქვეშ. გადაიხედოს უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი გულგრილობის დისპოზიციები. დაიხვეწოს სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა პასუხისმგებლობას სამსახურებრივი უფლების განხორციელებისას, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, რა შემთხვევებში სცდება მოსამართლის ქმედება დისციპლინურ საზღვრებს. ჩამოყალიბდეს დაბალანსებული და სამართლიანი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, რომლებიც გამორიცხავს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, გადაწყვეტილების შინაარსისა თუ სამართლებრივი შეცდომისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობას. რეაგირების გარეშე არ დარჩეს მძიმე გადაცდომის ფაქტები.

**1.2** დაიხვეწოს სამოსამართლო ეთიკის წესები, რათა მართლმსაჯულების განმახორციელებლებმა მიერ პროფესიული ეთიკის მკაფიოდ განსაზღვრული წესები გამოიყენონ თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სამართლიანი და ეფექტიანი სასამართლოს უფლების გათვალისწინებით. ეთიკის წესების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, დამუშავდეს ეთიკის წესების სახელმძღვანელო პრინციპები, მოწესრიგდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონისა და ეთიკის წესების ურთიერთმიმართება.

## **2. სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომებისა და სისტემაში კორუფციის პრევენცია:**

განვითარდეს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა გადაცდომების პრევენციის მექანიზმები, სისტემა ორიენტირებული იყოს არა დასჯაზე, არამედ-გადაცდომებისა და დარღვევების წინა პირობების იდენტიფიცირებაზე, ანალიზსა და მათ აღმოფხვრაზე.

**2.1** დისციპლინური გადაცდომების პრევენცია. დისციპლინური გადაცდომების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ქვეყნის სტანდარტების სწავლების კომპონენტი და მოსამართლეთა ინფორმირებულობისთვის პერიოდულად იმართებოდეს ტრენინგები გავრცელებულ დისციპლინურ დარღვევებსა და გადაცდომებზე. მოსამართლეთა და საქმეთა კონფიდენციალურობის დაცვით განხორციელდეს მოსამართლეების სათანადო მხარდაჭერა-კონსულტაცია ეთიკის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

**2.2** შეიქმნას სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენციის სისტემური მექანიზმები.<sup>13</sup> დაინერგოს ქონებრივი დეკლარაციების წარმოების განახლებული წესი, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის შესაბამისად. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია, ჩატარდეს ტრენინგები/სწავლება კორუფციასთან დაკავშირებით, ანგარიშვალდებულების მექანიზმების გასაძლიერებლად.

<sup>13</sup> ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

**3. მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა:**

განვითარდეს არსებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი, გადაიხედოს გადაცდომების გამოვლენის გზები და დაიხვეწოს დარღვევებზე რეაგირების მექანიზმები. გადაცდომებზე რეაგირების/პასუხისგებაში მიცემის ფორმები ჩამოყალიბდეს ისე, რომ, ერთი მხრივ, ორიენტირებული იყოს მოსამართლის ინსტიტუტის პატივისცემასა და მოსამართლეთა განვითარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ - საზოგადოებისა და განმცხადებლის ინფორმირებასა და პროცესის გამჭვირვალობაზე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

**3.1. უზრუნველყოფილ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობა, რათა გამოირიცხოს უსაფუძვლო სახდელის დაკისრების რისკი. კანონში გაიწეროს პროცესის მიზნები, გამოირიცხოს სამართლებრივი შეცდომის (legal errors) საფუძველზე დისციპლინური პასუხისმგებლობა.<sup>14</sup>**

**3.2. ეფექტურად ამოქმედდეს „მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღით“ გათვალისწინებული ინსპექტორის ინსტიტუტი, მისი დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტიების პრაქტიკაში უზრუნველყოფის გათვალისწინებით.**

**3.3. შეიქმნას სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომების გამოვლენის ქმედითი მექანიზმები. შესწავლილ იქნეს, შემუშავდეს და დაინერგოს გადაცდომების გამოვლენის ალტერნატიული გზები. ასევე, საზოგადოების ცნობიერების გასაზრდელად გააქტიურდეს ინფორმაციის გავრცელება სამოსამართლო ეთიკის წესებზე, საჩივრით მიმართვის უფლებაზე.**

**4. საზოგადოების წინაშე სასამართლო სისტემის ღიაობის უზრუნველყოფა და ანგარიშვალდებულების აღქმის გაძლიერება:**

განვითარდეს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების სახეები, ფორმები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები, საზოგადოებისთვის სისტემატურად და პროაქტიულად ინფორმაციის მიწოდებითა და ეფექტური კომუნიკაციით, რისთვისაც სასამართლომ უნდა განავითაროს ანგარიშვალდებულების სახეები.

**4.1 დაიხვეწოს სტატისტიკური ფორმები, ანალიტიკური ანგარიშები და მათი გავრცელების მექანიზმები. სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისა და სტრუქტურისთვის უნდა არსებობდეს სტატისტიკის წარმოების ერთგვაროვანი მეთოდოლოგია და შესაბამისი ელექტრონული პროგრამები. ასევე, როგორც სასამართლოებმა, ისე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ განსაზღვრონ და დანერგონ ანალიტიკური დოკუმენტების მომზადების და გამოქვეყნების წესი. ამ კონტექსტში დასახვეწი და გადასახედია საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სასამართლოებში სისტემატურად გაიმართოს ტრენინგები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, საზოგადოებისთვის ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიწოდების მიზნით.**

**4.2. ამოქმედდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმები.<sup>15</sup> მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და სისტემაში მომუშავე თანამშრომლებისთვის შემუშავდეს სტრატეგია მხარეებთან, მედიასთან, ხელისუფლების სხვა შტოებსა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის. მედიასთან კომუნიკაციისთვის შეირჩენენ/გადამზადდნენ სპიკერ-მოსამართლეები**

<sup>14</sup>ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა # 3, 55 პარაგრაფის შესაბამისად.

<sup>15</sup> ასევე, იხილეთ დამოუკიდებლობა, გვერდი 11, 4.2. პუნქტი

და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები. გავრცელდეს ინფორმაცია სასამართლოს ვებგვერდებისა და სხვა საკომუნიკაციო არხებით სასამართლოსა და საბჭოს საქმიანობაზე (მათ შორის - დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შესახებ).

- 4.3. მსჯელობის საგანი გახდეს კვლევები, რომლებიც საზოგადოების ნდობას აფასებს მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის თაობაზე. ამასთან, ჩატარდეს სისტემის შიდა კვლევები, რომლებიც გამოავლენს სასამართლოს ანგარიშვალდებულების ნაკლოვანებებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნას რეაგირების პოლიტიკა/სტრატეგია.

### III. ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა

სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების არსებით ასპექტს ხარისხიანი მართლმსაჯულება წარმოადგენს. მართლმსაჯულების ხარისხი, ფართო გაგებით, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხთან ერთად მოიცავს სასამართლო მომსახურებასა და სხვა ასპექტებს, რომლებიც რელევანტურია მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის. ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს სისტემაში მომუშავე მოხელეების კომპეტენცია და პროფესიონალიზმი, რომელიც მიიღწევა მაღალი პოტენციალის, ანდა კვალიფიკაციის მქონე პირების მოზიდვით, მათი მოტივაციისა და კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლებით. ამასთან, მნიშვნელოვანია სამართალწარმოების ხარისხის გაზომვისა და შეფასების ინსტრუმენტების მუდმივი განვითარება.

#### ძირითადი გამოწვევები

##### 1. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება:

სისტემატური ზრუნვა მოსამართლეთა პროფესიულ ზრდასა და უწყვეტ განვითარებაზე, ასევე სასამართლოს მოხელეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე.

##### 2. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ინდივიდუალური შეფასების სისტემის დანერგვა:<sup>16</sup>

დასაწერია ინდივიდუალური მოსამართლის შესაძლებლობებისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და ოდენობის შეფასების სისტემა. საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის ამოქმედებასთან ერთად სასამართლო მოხელეთა საქმიანობის ხარისხისა და დაწინაურების სისტემა არ არის განვითარებული.

##### 3. გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი:<sup>17</sup>

გადაწყვეტილების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეფექტურად არ გამოიყენება უზენაესი, საკონსტიტუციო თუ საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკა.

<sup>16</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #17.

<sup>17</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #11 - სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ; გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიური (UNODC) რეკომენდაციები, მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის და შესაძლებლობების გაძლიერება, გაეროს ოფისი, ნიუ იორკი, 2011 (Resource Guide on Strengthening Judicial Integrity and Capacity).



## ამოცანები და ძირითადი პროგრამები

### 1. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და შერჩევა:

ამოცანა მიზნად ისახავს აქტივობებს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის, პოზიციებზე სწორად შერჩევისა და მათი მუდმივი გადამზადების მიზნით.

1.1 შეიქმნას წინაპირობები სასამართლო სისტემაში საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად და მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაციის ასამაღლებლად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი უზურუნველყოფილი იყოს ადეკვატური სტიპენდიით, გაუმჯობესდეს სკოლაში სასწავლო პროცესი და შეიქმნას მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სია.

1.2 პოპულარიზაცია გაეწიოს მოსამართლისა და სასამართლო მოხელის პროფესიას სტუდენტ ახალგაზრდობაში. მოსამართლის პროფესიის პოპულარიზაციისათვის პერიოდულად განხორციელდეს საინფორმაციო და სხვა სახის აქტივობები უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა აკადემიურ წრეებში, სამართლისმცოდნეების ასოციაციებში, ლექციების, სემინარებისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

### 2. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საწყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება:

ამოცანა გულისხმობს საწყის მომზადებას და განგრძობადი გადამზადების/სწავლების ჩათვლით საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურად განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმის ზრდას. მოსამართლეთა უვადო გამწესება და შეფასების სისტემის დამკვიდრება განაპირობებს სწავლებისა და განგრძობადი განათლების სავალდებულობას.

2.1 გაუმჯობესდეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელების მიღების პროცესი, რისთვისაც მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა და სხვა მოსამზადებელი პროცესები განვითარდეს იმ გამოწვევების გათვალისწინებით, როგორცაა 3-წლიანი საგამოცდო ვადის გაუქმება და მოსამართლეთა უვადოდ გამწესება. გაიზარდოს მსმენელთა სწავლების ვადა და დაიხვეწოს სწავლების მეთოდები. შემუშავდეს და დაინერგოს სადამოს სწავლების ეფექტური პროგრამა.<sup>18</sup>

2.2 გაუმჯობესდეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა სწავლების პროცესი, სწავლების ხანგრძლივობის ვადის გაზრდის საჭიროების გათვალისწინებით. აღნიშნულის მისაღწევად განხორციელდეს სკოლაში სწავლების პროცესის და სასამართლოში სტაჟირების მონიტორინგი, მომზადდეს შესაბამისი ანალიზი და კვლევები. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა.

2.3 დაიხვეწოს მოსამართლეებისთვის განგრძობადი სწავლების/გადამზადების სისტემა - შემუშავდეს და დაინერგოს მოსამართლეთა სავალდებულო გადამზადების სისტემა, შემოღებულ იქნეს წლის განმავლობაში სავალდებულო სწავლების საათები, გამოყენებულ იქნეს კონკრეტული კურსის საჭიროების გამოთვლისა და მისი შეფასების მექანიზმები.

2.4 უზურუნველყოფილ იქნეს სასამართლო სისტემის მოხელეებისა და სხვა თანამშრომლებისათვის გადამზადების, ცოდნისა და უნარების მუდმივი განვითარება. დამუშავდეს თანამშრომელთა გადამზადების ალტერნატიული პროგრამები.

2.5 იუსტიციის უმაღლეს სკოლაში უზურუნველყოფილ იქნეს მოსამართლეთა და მოწვეული სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაცია სწავლების ხარისხისა და

<sup>18</sup> „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 2017 წლის 8 თებერვლის ცვლილებების თანახმად.

ეფექტურობის გასაუმჯობესებლად - კვალიფიციური კადრის ბაზაზე დაინერგოს სწავლების თანამედროვე/ინოვაციური და ინტერაქტიული მიდგომები. აღნიშნული ამოცანების უზრუნველსაყოფად სკოლა გაძლიერდეს ინსტიტუციური თვალსაზრისით.

**3. მოსამართლეების, სასამართლო მოხელეთა, სხვა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება და მათი მოტივაციის უზრუნველყოფა:**

დაინერგოს და ამოქმედდეს შეფასების ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სასამართლო მოხელეთა და სხვა თანამშრომელთა განვითარების საჭიროებების გამოვლენაზე, მათთვის ღირებული უკუკავშირის მიცემაზე, მათ წახალისებასა და მოტივაციის ამაღლებაზე.

**3.1** დაინერგოს მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემა. განვითარდეს მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც მოსამართლეთა საქმიანობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას მოახდენს და განსაზღვრავს მოსამართლეთა დაწინაურების საფუძვლებს (წოდებრივი წახალისება). შეფასების შედეგები აისახება მოსამართლეთა კარიერულ წინსვლაზე, რაც უფრო გაზრდის შეფასების პროცესის მნიშვნელობას და ეფექტურობას. შეფასების პერიოდულობა, კრიტერიუმები და ფორმები უნდა იყოს მაქსიმალურად დახვეწილი, ოპტიმალური და ამომწურავი, აღნიშნულის თაობაზე ამომწურავად იყოს ინფორმირებული სასამართლო კორპუსი.

**3.2.** ამოქმედდეს სისტემის მოხელეების და სხვა თანამშრომელთათვის შეფასების სისტემა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფილ იყოს სასამართლოს მოხელეთა რანგირება, სერტიფიცირება და მოხელის კარიერული განვითარება, წინსვლასა და დამსახურებაზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

**4. სასამართლო სისტემის ხარისხის გაზომვის ინდიკატორებისა და სტანდარტების განვითარება:**

ამოცანა გულისხმობს სასამართლო სისტემის ხარისხის გაზომვის პარამეტრებისა და ინდიკატორების შემდგომ განვითარებასა და დანერგვას, განსაკუთრებით ხარისხის გაზომვის ისეთი კომპონენტების დახვეწას, როგორებიცაა: სამართალწარმოების ხანგრძლივობა და გადაწყვეტილებების ხარისხი, სასამართლო მომსახურების მიწოდება და მომხმარებელთა კმაყოფილება. ამის თანმდევად, მნიშვნელოვანია, ვითარდებოდეს და ინერგებოდეს საქმიანობის ხარისხის სტანდარტები.

**4.1** განვითარდეს ხარისხის გაზომვის ინდიკატორები. შემუშავდეს ორგანიზაციის ძირითადი სტრუქტურისა და მომსახურების როგორც შიდა (თანამშრომლები), ასევე გარე (მომხმარებლები) მომხმარებელთა ხარისხის გაზომვის ინდიკატორები.<sup>19</sup>

**4.2** დაინერგოს/განვითარდეს ხარისხის სტანდარტები და მუდმივად განახლდეს გადაწყვეტილებისა და სხვა საპროცესო დოკუმენტების ხარისხი, კერძოდ: შემუშავდეს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგია და კრიტერიუმები, შეიქმნას ერთიანი საქმისწარმოების

<sup>19</sup> CEPEJ-ის მიერ მიღებული დოკუმენტის „მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვის“ მიხედვით უნდა გაიზომოს შემდეგი კომპონენტები: (1) პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, (2) სასამართლო მომსახურების მიწოდება, (3) მომხმარებელთა კმაყოფილება - CEPEJ (2016) 12 მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვა.

სტანდარტი (ბრძანებების, სხვა დოკუმენტების უნიფიცირება, საქმის წარმოების ვადები, პროგრამა) და სახელმძღვანელო პრინციპები სამოსამართლო უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების (განსაკუთრებით დატვირთული მოსამართლეებისათვის) და მოსამართლეთათვის სტრესის მართვის თაობაზე.

4.3.სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების მექანიზმის დახვეწა. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ერთ-ერთ წინაპირობას ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარება და მისი შემდგომი დანერგვა წარმოადგენს. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების გარდა, გააქტიურდეს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, დამუშავება და რაც შეიძლება ეფექტური ფორმით მიწოდება მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გასაძლიერებელია ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის სამუშაოები, მოსამართლეთათვის პერიოდული სემინარების, ლექციებისა და შეხვედრების სახით. ასევე, გასამარტივებელია სასამართლო პრაქტიკის მოძიების მეთოდები. საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისათვის ყველა დონეზე.

## IV. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა

სასამართლო სისტემის ხარისხთან ერთად, სისტემის ეფექტიანობა მართლმსაჯულების უმთავრესი კომპონენტია, რომელიც ასახვას სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში ჰპოვებს.<sup>20</sup> გარდა ამისა, ეფექტიან მართლმსაჯულებაზე აღნიშნულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომლის მე-8 მუხლის მიხედვით: „ყველას, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისაგან.“ ეფექტიანობა თავისთავად არ არის მიზანი, იგი უფრო საშუალებაა ხარისხიანი სასამართლო სისტემის შესაქმნელად და სამართლის უზენაესობის განსამტკიცებლად.

### **ძირითადი გამოწვევები**

#### **1. სასამართლოში მომართვიანობის ზრდა და სამუშაოს შესრულების ხარისხის გაზომვის სუსტი სისტემა:**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სისტემატურად იზრდება სასამართლოში მომართვიანობა, განსაკუთრებით-სამოქალაქო საქმეების მიმართულებით,<sup>21</sup> რაც სასამართლოს მხრიდან ეფექტურ რეაგირებასა და სისტემაში სათანადო

<sup>20</sup> მათგან, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა გამოსაყოფი, რომლის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ეფექტიან მართლმსაჯულებას შეეხება: „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

<sup>21</sup> კერძოდ: 2016 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული საქმეების რაოდენობა 2005 წელთან შედარებით სამჯერ, ხოლო 2010 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა.

ცვლილებებს საჭიროებს. მოსამართლეთა<sup>22</sup> და სასამართლო მოხელეთა რაოდენობა არასაკმარისია ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულების მისაღწევად, რაც განაპირობებს სასამართლოში ნაშთად დარჩენილ მრავალ საქმეს, საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დარღვევას, გადაწყვეტილების მომზადების ვადების დარღვევას, გადაწყვეტილებათა არასათანადო დასაბუთებას და ა.შ.

**2. საქმეთა განაწილებისა და მართვის ნაკლებად ეფექტური მოდელი:<sup>23</sup>**

საქმეების განაწილებისა და მართვის აღნიშნული მოდელი<sup>24</sup> ხარვეზიანია და ვერ ითვალისწინებს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა თანაბარ და გონივრულ დატვირთვას. აღნიშნული შეიცავს დამოუკიდებლობის ხელის შემშლელ საფრთხეებს. საქმეთა მართვის დღევანდელი სისტემა მოქმედებს სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობაზე<sup>25</sup> და ხელს უშლის როგორც მოსამართლეთა, ისე მთლიანად სისტემის პროდუქტიულობას.

**3. სასამართლო სისტემაში მართვის/მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ეფექტურობის ნაკლებობა:<sup>26</sup>**

სასამართლოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მენეჯმენტის არასათანადოდ განვითარებული სიმძლავრეები, რომელიც არ არის პირველი მნიშვნელობის პრიორიტეტი, სათანადოდ ვერ ეხმარება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სასამართლოებს ეფექტურად ფუნქციონირებაში. საერთო სასამართლოებსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადასახედია მართვისა და ადმინისტრირების რიგი მიმართულებები.

**4. ელექტრონული საქმისწარმოების ხარვეზები და ინტეგრაციის ნაკლებობა:**

საერთო სასამართლოებში მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა მოძველებული სერვერული ინფრასტრუქტურით განახლების პროცესშია, რაც ვერ უზრუნველყოფს პროცესის მწარმოებელთა და მონაწილეთა ეფექტურ ინტეგრირებას.

**5. სასამართლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე:**

სასამართლოს პრიორიტეტების შესაბამისად, პერმანენტულად განსაახლებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასამართლოებში სასამართლო სხდომის დარბაზები და მოსაცდელი სივრცეები მცირეა. საქმეთა მზარდი ნაკადის პირობებში პრობლემას წარმოადგენს სასამართლო პროცესების ხშირი გადადება, რაც ართულებს მზარდად მონაწილეობით დადგენილი სასამართლო სხდომების გრაფიკების დაცვას და საბოლოოდ, აჭიანურებს სამართალწარმოების ვადებს.

<sup>22</sup> 2016 წლის მონაცემებით საერთო სასამართლოებში, უზენაესი სასამართლოს გამოკლებით, 280 მოსამართლე იყო, ხოლო შტატების რაოდენობა გაზრდილია და 319-ს უტოლდება).

<sup>23</sup> გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიური (UNODC) რეკომენდაციები მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის და შესაძლებლობების გაძლიერება, გაეროს ოფისი, ნიუ იორკი, 2011 (Resource Guide on Strengthening Judicial Integrity and Capacity).

<sup>24</sup> საერთო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა შორის საქმეები რიგითობის წესით ნაწილდება. მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილების მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში - მომდევნო ასოს მიხედვით.

<sup>25</sup> მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ერთ სასამართლოში ერთი და იმავე სპეციალიზაციის მოსამართლეები არათანაბრად არიან დატვირთული.

<sup>26</sup> ევროპული სასამართლო სისტემების ადმინისტრირება და მენეჯმენტი - CEPEJ Studies No. 10 <[http://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/series/Etudes10Admin\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/series/Etudes10Admin_en.pdf)>

CCJE - დასკვნა #6- სასამართლოს ადმინისტრირება, მოსამართლის საქმიანობის მხარდაჭერა, არასამოსამართლო ფუნქციები<[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE\(2004\)OP6&Sector=secDGH&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorIntranet=FEF2E0&BackColorLogged=FFC333&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE(2004)OP6&Sector=secDGH&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorIntranet=FEF2E0&BackColorLogged=FFC333&direct=true)>

## ამოცანები და ძირითადი პროგრამები

1. **სასამართლოების, მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და სისტემის თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობისა და გონივრული დატვირთულობის უზრუნველყოფა:**

ამოცანა გულისხმობს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეთა რაოდენობის ოპტიმიზაციას იმგვარად, რომ ისინი ახერხებდნენ დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების გონივრულ ვადაში შესრულებას, საქმიანობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებით. პერიოდულად გაანალიზდეს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა დატვირთვა და საჭიროებისამებრ განხორციელდეს მათი რაოდენობის რაციონალიზაცია.

  - 1.1. შემუშავდეს საქმეთა მოცულობის შეფასების სისტემა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა/გაზრდა კონკრეტულ სასამართლოებში. ასევე შემუშავდეს სასამართლოების, მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი.<sup>27</sup>
  - 1.2. ამოქმედდეს საქმეთა განაწილებისა და მართვის ეფექტური ელექტრონული სისტემა, რათა ამაღლდეს პროდუქტიულობა და მოსამართლის რესურსი გამოყენებულ იქნეს ეფექტურად. დადგინდეს ერთ მოსამართლეზე გასანაწილებელ საქმეთა გონივრული რაოდენობა, საქმის კატეგორიის და სირთულისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით.
2. **საპროცესო ვადების ოპტიმიზაცია და ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირება:**

ამოცანა გულისხმობს სასამართლოში იმ სამართალწარმოების პროცესის ვადებთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლოა, აფერხებდეს სისტემის ეფექტიანობასა და პროცესის ოპტიმიზაციას მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. აღნიშნული გულისხმობს სასამართლოში საქმეთა გაჭიანურების პოლიტიკისა და დაგროვილი საქმეების შესამცირებლად ახალი მიდგომების შემუშავებას.

  - 2.1. სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის განვითარება - გადაიხედოს სასამართლოთა მუშაობის შეფასების კრიტერიუმები და გაუმჯობესდეს მათი ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტი.<sup>28</sup> ასევე, დაიხვეწოს სასამართლოების ეფექტიანობის შეფასების სტატისტიკური და ანალიტიკური ანგარიშები.<sup>29</sup>
  - 2.2. საქმისწარმოების პროცესის სრულყოფისათვის გადაიხედოს და გამოვლინდეს მათი გაუმჯობესების, ოპტიმიზაციის შესაძლებლობები და საჭიროებები, შემდგომი დახვეწის მიზნით.
  - 2.3. გაანალიზდეს საქმეთა გაჭიანურებისა და გადატვირთულობის პრობლემადა გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა შემუშავდეს და დაინერგოს დროის მართვის,

<sup>27</sup> აუცილებელია „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული საქმეთა განაწილების ელექტრონული პრინციპის ეფექტური ამოქმედება მთელ სისტემაში, რომლის მიხედვითაც, საქმეები განაწილდება ავტომატურად, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ამისთვის მნიშვნელოვანი იქნება შესაბამის სასამართლო მოხელეთა გადამზადება და რუსთავის საქალაქო სასამართლოში ელექტრონული განაწილების სისტემის საპილოტე პროგრამის ეფექტური ამოქმედება.

<sup>28</sup> მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სტანდარტებისა და ანგარიშების მიხედვით.

<sup>29</sup> მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სასამართლო ვადების მონიტორინგის ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე.

დაყოვნების პრევენციისა და ნაშთად დარჩენილი საქმეების ეფექტიანად შემცირების პოლიტიკა.

### **3 სასამართლო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ადმინისტრირების სრულყოფა:**

ამოცანა გულისხმობს საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განვითარებას ისე, რომ მათი ორგანიზაციული მოწყობა სრულად და სათანადოდ პასუხობდეს სასამართლო სისტემის წინაშე მდგარ ამოცანებს, სისტემურ დონეზე მართვისა და ადმინისტრირების სიმძლავრეების, ასევე, უნარების განვითარებას. ხელი შეუწყოს კოორდინირებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების ეფექტური გამოყენებით.

3.1. ეტაპობრივად განხორციელდეს ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმა საერთო სასამართლოებში, იუსტიციის საბჭოში ამოქმედდეს მენეჯმენტის დეპარტამენტი. განისაზღვროს სისტემაში მომუშავე თანამშრომლების ფუნქციები, შესწავლილ იქნეს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სასამართლოს თავმჯდომარეთა და მენეჯერთა ფუნქციები. გაძლიერდეს სასამართლოს კოლეგიებისა და პალატების სამდივნოების, ანალიტიკური და განზოგადების სტრუქტურული ერთეულები.

იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნას კომერციული/საგადასახადო პალატ(ებ)ი, რომელიც სპეციალიზებული იქნება ძვირად ღირებული კომერციული დავეების, ასევე, საგადასახადო დავეების განხილვაში. ამ და სხვა სპეციალიზებული პალატების შექმნის შემთხვევაში უნდა გაანალიზდეს სტრუქტურა და სტრუქტურული თვალსაზრისით, გატარდეს შესაბამისი ზომები.

3.1. ხელი შეეწყოს სასამართლო ინსტანციებს შორის შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებას მათი მთლიანობის განცდის ამაღლებისა და სისტემის ინსტიტუციური სრულყოფისათვის. განვითარდეს ინფორმაციის გაცვლის ერთიანი სისტემა, მოსამართლეთა და მოხელეთა შორის საკომუნიკაციო არხები, გაუმჯობესდეს რეგიონებში მოსამართლეებთან შეხვედრების ორგანიზება, უზრუნველყოფილი იყოს ინტრანეტის ფუნქციური გამართულობა.

3.2. დაიხვეწოს სასამართლო სისტემის შიდა ფინანსური მართვისა და ბიუჯეტირების პროცესი. გაუმჯობესდეს ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის არსებული შიდა მოდელი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. შემუშავდეს და განახლდეს ბიუჯეტი სასამართლოთა აქტიური ჩართულობით. სამომავლოდ გადაიდგას ნაბიჯები ამ სფეროში დეცენტრალიზაციისკენ და განსაკუთრებით მსხვილ სასამართლოებს მიეცეთ არა მარტო ბიუჯეტის შედგენის, არამედ- განსაზღვრულ ფარგლებში, სახსრების ხარჯვის უფლებამოსილება.

### **4. დავეების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება:**

ამოცანა გულისხმობს სასამართლოში და სასამართლოს გარეთ დავეების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, კერძოდ, მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარებას, დაბალანსებულ ურთიერთობას დავეების გადაწყვეტასა და ხსენებულ ალტერნატიულ საშუალებებს შორის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სასამართლოს ხელმისაწვდომობას, სასამართლოებისა და მოსარჩევეების დროისა

და ხარჯების დაზოგვას, მართლმსაჯულებით კმაყოფილებასა და სასამართლო სისტემის მოქნილობის საკითხების მოწესრიგებას, ასევე, მოსამართლეთა გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემის მოგვარებას. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია:

4.1. ჩამოყალიბდეს მედიაციის ცენტრები მსხვილ სასამართლოებში

4.2. შემუშავდეს სასამართლო მედიაციის განვითარების პროგრამები(სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების შესაბამისად);

4.3. ხელი შეეწყოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების (მედიაცია, არბიტრაჟი) განვითარებას;

4.4. განვითარდეს და გააქტიურდეს სასამართლოს მორიგების ინსტიტუტი;

4.5. დაინერგოს მედიაცია ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებაში.

## **5. ელექტრონული მმართველობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება:**

ამოცანა გულისხმობს სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად მატერიალური, ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის სათანადო განვითარებას.

5.1. განხორციელდეს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კომპლექსური აუდიტი/შემოწმება, შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების კონცეფცია. შეფასდეს შენობების გამართულობის, დარბაზების აღჭურვის, უსაფრთხოების ნორმების დაცვის სტანდარტები;

5.2. განვითარდეს სასამართლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - მოწესრიგდეს სასამართლო შენობების იერსახე. აღნიშნულისათვის მოხდეს შენობების რეაბილიტაცია, ტექნიკური უზრუნველყოფა, სათანადო აღჭურვა, გამოიყოს საკმარისი სივრცე საქმის გაცნობის ოთახების სახით ადვოკატებისთვის. ასევე, აშენდეს ახალი სასამართლო შენობები. გაანალიზდეს, ტერიტორიულ-გეოგრაფიული დაფარვის კუთხით რამდენად ხელმისაწვდომია დღეს სასამართლო, განსაკუთრებით- მაღალმთიანი და არამჭიდროდ დასახლებული რეგიონებისთვის;

5.3. სასამართლო სისტემაში შემუშავდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. შესწავლილ იქნეს არსებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (IT) ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და გამოვლინდეს განახლების საჭიროება ტექნიკურად გაიმართოს შიდა და გარე ქსელები უსაფრთხოებისა და სისწრაფის უზრუნველსაყოფად განთავსდეს ადეკვატური მოცულობის სერვერები და დაინერგოს საინფორმაციო-ტექნოლოგიური უსაფრთხოების სისტემები;

5.4. განხორციელდეს სასამართლო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა<sup>30</sup> ელექტრონული საქმისწარმოების, ელექტრონული საქმეთა განაწილების სისტემის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მოდულის განვითარებით. ასევე, მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ფუნქციების ელექტრონული უზრუნველყოფა, როგორებიცაა: ბიუჯეტის შემუშავებისა და ფინანსური ანალიზის მოდული; ადამიანური რესურსების სისტემის მართვის ელექტრონული მოდული; ელექტრონული არქივი; სტატისტიკის მოდული; სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტომატური გამოქვეყნების პროგრამა; ელექტრონული ბიბლიოთეკა და ა.შ. დაიხვეწოს სასამართლოთა ვებ-გვერდები, როგორც ვიზუალური და ფუნქციონალური თვალსაზრისით, ისე-შინაარსობრივად.

<sup>30</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ სასამართლო ხელმისაწვდომობის თავში, გვერდი 27, 3 პუნქტი

**6. პარტნიორ სტრუქტურებთან ურთიერთობის განვითარება:**

ამოცანა გულისხმობს ეფექტური ფორმატებისა და მიდგომების განვითარებას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან, მედიასთან, უცხოურ სასამართლოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიურ წრეებთან;

- 6.1. გაუმჯობესდეს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უცხოურ სასამართლოებთან, მედიასთან ურთიერთობები. შენარჩუნდეს და გააქტიურდეს რეგულარული შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დონორებთან. პარლამენტთან ურთიერთობის განვითარებისთვის შეიქმნას საპარლამენტო მდივნის ინსტიტუტი.<sup>31</sup> განისაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები.

## V. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

### სტრატეგიული მიმართულების განმარტება

სასამართლოს ხელმისაწვდომობა მოიცავს როგორც სასამართლოს ფორმალურ ხელმისაწვდომობას, ასევე-სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობასაც. ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სამართლებრივი, ფინანსური და ინფრასტრუქტურული ბარიერების მინიმუმამდე დაყვანა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის.

### ძირითადი გამოწვევები

1. **საკანონმდებლო ბაზა ხარვეზიანია და ვერ უზრუნველყოფს შეჯიბრებითი სამართალწარმოების მონაწილე მხარეთა სრულყოფილ დაცვას;**  
მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს ხარვეზებს, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების შესაბამისად სამართალწარმოების პროცესის რეალიზაციის კუთხით.
2. **უფასო იურიდიული დახმარება ნაკლებად ხელმისაწვდომია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, პრობლემურია გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მოწმის უფასო იურიდიული დახმარება;**  
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გადახდისუუნარო პირების გარდა არ ითვალისწინებს არასრულწლოვანი მოწმისთვის უფასო იურიდიულ დახმარებას. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარება ვრცელდება შეზღუდულ პირთა წრეზე. სამოქალაქო სამართლის საპროცესო ხარვეზიანი კანონმდებლობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსამართლის მიხედვლებით ადვოკატის დანიშვნას სახელმწიფოს ხარჯზე.
3. **სასამართლოს დღევანდელი ინფრასტრუქტურა და გარემო ნაკლებად არის მორგებული მოწყვლადი პირების საჭიროებებზე;**  
საერთო სასამართლოების სისტემაში დასახვეწი და გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა,

<sup>31</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ დამოუკიდებლობის თავში, გვერდი 8, 1.2.6.



არასრულწლოვანთა ინტერესების შესაბამისად ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად.

**4. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა დასახვეწია:**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ტექნიკურ დონეზე ხარვეზიანია და საჭიროებს სასამართლო გადაწყვეტილებების (ყველა დონეზე) ელექტრონული ბაზის ეფექტურ ფუნქციონირებას.

**5. საზოგადოების ნაკლებ ინფორმირებულობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის შესახებ;**

საერთო სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაფართოება საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს და საზოგადოების აქტიური ინფორმირებულობა სასამართლოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა; <sup>32</sup> მიზანშეწონილია საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მოხელეთა შესაბამისი გადამზადება და მათი აღჭურვა საინფორმაციო-საცნობარო მასალით.

**6. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების თაობაზე საზოგადოების ცნობიერების მუდმივად ამაღლება;**

სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების კანონმდებლობის ხშირი ცვლილების გამო, საზოგადოება განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას სამართალწარმოების პროცესში უფლებების შესახებ. არასრულყოფილი ინფორმაცია სამართალწარმოების ფორმებსა და სახეებზე, სამართალწარმოების სავარაუდო ხანგრძლივობაზე, მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, გასაჩივრების მექანიზმებზე და ასევე დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებზე შეივსოს სასამართლოს მიერ პერმანენტულად შექმნილი და მომხმარებლებში გავრცელებული განხორციელებული საცნობარო და შემეცნებითი პროგრამებით.

**ამოცანები და მთავარი პროგრამები**

**1. სამართლიანი სასამართლო უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის გასატარებელი ღონისძიებები**

ამოცანა გულისხმობს ინიციატივებს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების თაობაზე, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევედენტების მიხედვით, რათა დაცული იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება და უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი სამართალწარმოებაში.

1.1. განხორციელდეს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევედენტულ სამართალთან. გაუმჯობესდეს ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ევროპული კონვენციისა და პრაქტიკის გამოყენება;

1.2. განხორციელდეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრული საპროცესო რეალიზაცია კანონმდებლობაში; ამ მიმართებით გადაიხედოს სისხლის სამართლის

<sup>32</sup> საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი 2009 წლის 9 ოქტომბრიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად დაინერგა თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში, ხოლო 2016 წლის 24 ივნისის რეფორმის შედეგად ბათუმისა და რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებშიც ამოქმედდა.

საპროცესო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა, როგორც სამართალწარმოებაში ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა, უზრუნველყოს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში გადაიხედოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების, მტკიცებულებების წარდგენის წესი და პროცესუალური ნორმები, ეფექტური სამართალწარმოებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების გაზრდის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

**2. სასამართლოზე თანაბარი წვდომა და საჭირო სერვისები მოწყვლადი ჯგუფებისთვის;**

ამოცანა გულისხმობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის (არასრულწლოვნები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, ქალები, ბავშვები და ა.შ.) საჭირო სერვისების შეთავაზებას და ადაპტირებული გარემოს მოწყობას/ორგანიზებას; მოწყვლადი ჯგუფების უფლებებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა/გაანალიზებას და შესაბამისი კვლევების ინიცირებასა, სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავებას; მოწყვლადი ჯგუფების საქმეზე სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას.

2.1 გასაანალიზებელია, თუ რამდენად პასუხობს სასამართლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს. ამისათვის მოეწყოს/გაუმჯობესდეს შშმ პირებისთვის სასამართლოში ადაპტირებული გარემო და ტექნიკური აღჭურვილობა. უზრუნველყოფილ იქნეს სამართალწარმოების დოკუმენტებისა და საპროცესო ფორმების მათთვის გასაგებ ენაზე გამოცემა. გადასახედია საკანონმდებლო ნორმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესების გათვალისწინებით;

2.2 გაუმჯობესდეს სამართალწარმოება ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით და შესიქმნას შესაბამისი გარემო სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას. კანონმდებლობისა და სამართალწარმოების პრაქტიკის გაანალიზების შედეგად შეიქმნას ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფცია. შემუშავდეს პროცედურები, მომზადდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა მსხვერპლი ან/და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური ტრავმისაგან დასაცავად. საერთო სასამართლოების სისტემაში პროფესიონალების ჩართულობით განისაზღვროს და დაინერგოს სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვის მიმართ სათანადო სამართლებრივი მხარდაჭერისათვის სამართალწარმოების პროცესის დაწყებამდე, პროცესის დროს და პროცესის შემდეგ;

2.3 საჭიროებისამებრ გაუმჯობესდეს თარჯიმნის სერვისი სასამართლოებში და დაიგეგმოს ამ მიმართულებით ღონისძიებები;

2.4 გააქტიურდეს საერთო სასამართლოების სისტემაში გენდერული მგრძობელობა და სამართალწარმოების პროცესი ამ მიმართულებით შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტთან, რისთვისაც განხორციელდეს საჭირო ღონისძიებები, კვლევების ინიცირება და საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა/მონაწილეობა;

2.5 გაფართოვდეს უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა - შემუშავდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურთან ერთად საკანონმდებლო

წინადადებები, მათ შორის -არასრულწლოვანი მოწმის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობისათვის. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე მოსამართლეების მიხედულებითა და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით გაეწიოთ მათ უფასო იურიდიული დახმარება.

**3. გაუმჯობესდეს სასამართლოში მომსახურება სისწრაფის, კომფორტისა და ინოვაციურობის უზრუნველსაყოფად;**

ამოცანა გულისხმობს სასამართლო მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას მომხმარებლებისთვის, სასამართლო სერვისებით სარგებლობისას მაქსიმალური სიმარტივისა და კომფორტის შექმნით.

3.1. შეიქმნას მომხმარებელზე ორიენტირებული სასამართლო მომსახურების სამოქმედო გეგმა და დაეფუძნოს კერძო სექტორის პრაქტიკასა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს. ერთიანი ქოლცენტრის მეშვეობით განვითარდეს მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი და მარტივი მომსახურება. შეიქმნას მედიაცენტრი, რომელიც აღიჭურვება მომსახურებისთვის საჭირო ყველა რესურსით. აღნიშნულის შესაბამისად ჩამოყალიბდეს სასამართლოს მისაღების კონცეფცია მომსახურების ერთიანი სტანდარტითა და პრინციპებით. განვითარდეს ღიაობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლოს მისაღების იერსახე;

3.2. დაინერგოს სასამართლოებში მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციური სერვისები. საერთო სასამართლოების სისტემაში განვითარდეს საინფორმაციო ტექნოლოგიები. სამართალწარმოების პროცესების ელექტრონული ინიცირების სისტემის შექმნისთვის, საპროცესო დოკუმენტების დისტანციურად აღძვრისთვის, გადახდის უუნარობის საქმეებზე ელექტრონული სამართალწარმოების პროცედურების შექმნისა და სხდომებზე წინასწარ დასწრებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის ასევე ბაჟის ელექტრონულად გამოთვლისა და სააღსრულებლო ფურცლის გაცემის პროცესის გამარტივებისთვის შეიქმნას ელექტრონული პროცედურა და ა.შ.

**4. უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების მუდმივი ამაღლება სასამართლოს საქმიანობაზე;**

ამოცანა გულისხმობს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სამართალწარმოების ვადების, ხარჯებისა და სხვა საჭირო საკითხებზე მარტივი და გასაგები ფორმით.

პროცესის საქვეყნობის პრინციპისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასამართლოს, გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონული ფორმით.

4.2 გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირება სასამართლოს საქმიანობაზე - საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია სასამართლოს მუშაობაზე, სამართალწარმოების წესებსა და სხვა პროცედურებზე მოკლე, გასაგები ფორმით. მომზადდეს მოქალაქეებისთვის სპეციალური გზამკვლევები, განხორციელდეს საგანმანათლებლო აქტივობები სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის, მოხდეს საზოგადოების ინფორმირება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ.

4.3 გაიზარდოს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა.

დასახვეწია სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა. საჭიროა გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საძიებო სისტემების შექმნა. გასაძლიერებელია სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მიმართულება და ამ საქმიანობის პოპულარიზაცია.

- 4.4. განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მხარდამჭერი ღონისძიებები - გატარდეს ღონისძიებები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნდობის გასაზრდელად, გაგრძელდეს მოსამართლეებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, პრაქტიკული სახელმძღვანელოების დამუშავებითა და მსგავსი პრაქტიკის მქონე ქვეყნებში სასწავლო ვიზიტების ორგანიზებით.

## სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი

### მიზანი:

სასამართლო სისტემის სტრატეგიის განხორციელების ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების ობიექტური, დროული და ზუსტი შეფასება, რათა სასამართლომ შეძლოს სტრატეგიის მაღალხარისხვნად შესრულება.

### ამოცანები:

1. სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
2. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება;
3. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მუდმივი დახვეწა-განახლება.

### სტრატეგიის განხორციელების მიდგომა - სამოქმედო გეგმა

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება სტრატეგიულ ამოცანებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ და დროულ გადაჭრას. სამოქმედო გეგმაში ასახულია მსხვილი პროგრამები, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია შედარებით მცირე მოქმედებებად. მოქმედებები გაწერილია ვადებში, დადგენილია საჭირო რესურსები და შესრულებაზე პასუხისმგებელი და თანაპასუხისმგებელი ორგანოები. ასევე, თითოეულ მოქმედებაზე გაწერილია შედეგისა და გავლენის ინდიკატორები. ინდიკატორების საშუალებით ფასდება და იზომება შესრულების ეფექტი და შედეგი.

### განმახორციელებელი და მაკოორდინირებელი რგოლები

გეგმების მონიტორინგის, შესრულების შეფასებისა და განახლების პროცესი საჭიროებს ჩართული ორგანიზაციების მჭიდრო კოორდინაციასა და კომუნიკაციას. სტრატეგიის განხორციელების პროცესში მონაწილეობენ პასუხისმგებელი უწყებები ან პირები, სტრატეგიული კომიტეტი, კომიტეტის სამდივნო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საბჭოს ის წევრები, რომლებიც არიან პასუხისმგებელი სტრატეგიულ მიმართულებებზე. ყველა ჩართულ მხარეს კოორდინაციას უწევს სტრატეგიული კომიტეტის სამდივნო.

კომიტეტის სამდივნო არის მორგანიზებელი ორგანო, რომელიც ტექნიკურ, ინფორმაციულ მხარდაჭერას უწევს ჩართულ მხარეებს, გეგმავს და აწყობს შეხვედრებს, პრეზენტაციებსა და განხილვებს.


საბჭოს წევრები/სტრატეგიულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირები აანალიზებენ საკუთარი მიმართულებით გეგმის შესრულებას და ახდენენ ცვლილებების ინიცირებას.

უმაღლესი საბჭო ამტკიცებს პროექტებსა და გეგმის ცვლილებებს და ისმენს ანგარიშებს.

სტრატეგიული კომიტეტი გენერალურად აჯამებს შედეგებს და გეგმავს შემდგომ სამუშაოს

**მონიტორინგისა და შეფასების პროცესი**

**სტრატეგიის განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი**



6 თვეში ერთხელ პასუხისმგებელი ორგანოები ამზადებენ ანგარიშებს დაკისრებული მოქმედებების შესრულების შესახებ. ანგარიშებს აგროვებს კომიტეტის სამდივნო და პრეზენტაციების ფორმატში ამზადებს სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად. პრეზენტაციები ეგზავნებათ სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელებს / საბჭოს წევრებს, რომლებიც აანალიზებენ მათ და გამოავლინენ პრობლემურ საკითხებსა და ახალ შესაძლებლობებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავენ ინიციატივებს გეგმის ცვლილებაზე. სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში აწყობენ 6 თვის ანგარიშების პრეზენტაციებს. საბჭო ისმენს და იღებს

გადაწყვეტილებას გეგმის ცვლილებასა და პროექტების დამტკიცებაზე. წელიწადში ერთხელ იწვევენ სტრატეგიულ კომიტეტს და იხილავენ წლის შედეგებს, აწყობენ პრეზენტაციებს და გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს.

## ანგარიშის ტიპები

სტრატეგიის განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გამოიყენება სამი ტიპის ანგარიში:

### 1. პროგრესის შესახებ ანგარიში

პროგრესის შესახებ ანგარიშს ამზადებენ პასუხისმგებელი ორგანოები. ანგარიშში ასახულია პასუხისმგებელი ორგანოს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესი და მიღწეული შედეგები. პროგრესის შესახებ ანგარიში მზადდება ყოველ 6 თვეში ერთხელ.

### 2. მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიშს ყოველი წლის ბოლოს ამზადებს სტრატეგიული კომიტეტის სამდივნო და წარუდგენს სტრატეგიულ კომიტეტს დასამტკიცებლად. ანგარიშში აისახება პასუხისმგებელი უწყების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესი და მიღწეული შედეგები. ანგარიშს საფუძვლად დაედება პასუხისმგებელი უწყებების მიერ კომიტეტის სამდივნოსთვის ყოველ 6 თვეში ერთხელ მიწოდებული ანგარიში განხორციელებული ღონისძიების შესახებ.

### 3. შეფასების ანგარიში

ანგარიში მიზნად ისახავს ორი საანგარიშო წლის განმავლობაში პასუხისმგებელი უწყებების მიერ განსაზღვრული ღონისძიებების საშუალებით მიღწეული შედეგებისა და მათი ეფექტიანობის შეფასებას. შეფასების ანგარიშს ორი საანგარიშო წლის ბოლოს ამზადებს კომიტეტის სამდივნო და წარუდგენს სტრატეგიულ კომიტეტს.

## დანართი 1 - წინარე ისტორია

*(წინა პერიოდისა და რეფორმების გავლენა დღევანდელი სტრატეგიაზე)*

საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი<sup>33</sup> რედაქციის მიხედვით, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდებოდა საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების მეშვეობით. 1997-2000 წლებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსი და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსი.<sup>34</sup>

<sup>33</sup>1995 წლის 24 აგვისტო.

<sup>34</sup>2000 წლის 1 ივნისიდან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ამოქმედდა, 1999 წლის 15 მაისიდან-სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისიდან-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო 1997 წლის 14 ნოემბრიდან-საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საქართველოს

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელსაც წინ უძღოდა ხანგრძლივი პროცესი საპარლამენტო კომიტეტში, იუსტიციის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოში გამართულ თათბირებზე, მათ შორის- საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩატარებული შეხვედრები საერთო სასამართლოების სისტემის ორგანიზაციული მოწყობის თაობაზე.<sup>35</sup>

1999 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ რომელიც 2009 წლიას 4 დეკემბრამდე მოქმედებდა და შემდგომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შევიდა/ გაერთიანდა. კანონის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა<sup>36</sup> შედგებოდა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს, საოლქო სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან. აგრეთვე, დასაშვები იყო სამხედრო სასამართლოს შემოღება საომარ პირობებში, მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, შექმნა და სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრებოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ხოლო საოლქო სასამართლოს შექმნასა და მის სამოქმედო ტერიტორიას საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებდა ბრძანებულებით. საოლქო სასამართლო ასევე წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს კოლეგიური წესით, სამი მოსამართლის შემადგენლობით და განიხილავდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმეებს.<sup>37</sup> თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებთან ერთად, მეორე ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებას ახორციელებდნენ. ბოლო ინსტანცია საქართველოს უზენაესი სასამართლო გახლდათ, რომელიც ზედამხედველობდა საერთო სასამართლოების სისტემაში მართლმსაჯულების განხორციელებას. ასევე, უზენაესი სასამართლოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილი იყო, დაეწყო საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების პროცედურები. დამატებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მის განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავდა კოლეგიურად, ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.<sup>38</sup>

---

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ოდნავ მოგვიანებით, 2000 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, ისევე, როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, „მართლმსაჯულების მაცნე“, #3, 1997 წელი, გვერდი 4.

<sup>36</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის კანონი წარმოადგენდა მთავარ დოკუმენტს მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაციული მოწყობის თაობაზე.

<sup>37</sup> განიხილავდა საქმეებს ეკონომიკურ (სამეურნეო) საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (იურიდიულ პირებს) შორის, თუ სარჩელის ფასი აღემატება 100 000 ლარს, ისევე, როგორც სახელმწიფოსამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს და საავტოროსამართლებრივი ურთიერთობებიდან, სამრეწველო საკუთრებიდან გამომდინარე დავებს.

<sup>38</sup> 1999 წლის 16 აპრილის ცვლილებების თანახმად, რაიონულ სასამართლოში გადაინაცვლა საქმის განხილვამ, ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგებლობით, კოლეგიური წესით. მოგვიანებით გაუქმდა სამი მსაჯულის მონაწილეობით საქმის განხილვა.

მოგვიანებით, ცვლილებები შეეხო საოლქო სასამართლოს და მისი იურისდიქცია გაფართოვდა, იგი უკვე სააპელაციო წესით იხილავდა საჩივრებს,<sup>39</sup> თუმცა, საბოლოოდ,<sup>40</sup> მოხდა მათი ლიკვიდაცია და დღეის მდგომარეობით, რაიონული/საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები ქმნიან საერთო სასამართლოების სისტემას. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით რაიონულ/საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაცია განისაზღვრა.<sup>41</sup>

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით დაფუძნდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც განიხილავდა სასამართლო რეფორმის წინადადებების შემუშავებისა და გატარების საკითხებს, არჩევდა და წარადგენდა მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურებს, ათავისუფლებდა მოსამართლეებს თანამდებობიდან, ორგანიზებას უწევდა საკვალიფიკაციო გამოცდებს, ასრულებდა კანონით დადგენილ სხვა ამოცანებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი.<sup>42</sup> მოგვიანებით, საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა და მისი შემადგენლობა 15 წევრით განისაზღვრა (8-მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული მოსამართლე წევრი, 3-პარლამენტის, ხოლო 2-პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და თანამდებობრივად-საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე).<sup>43</sup>

ამასთან, საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანო, მოსამართლეთა კონფერენცია ჩამოყალიბდა და განისაზღვრა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა.<sup>44</sup> საერთო სასამართლოებში (გარდა უზენაესი სასამართლოსი) მატერიალურ-ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ამჟამად-საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. დეპარტამენტი განკარგავს ფინანსებს სასამართლოების საქმიანობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად.<sup>45</sup>

მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად, ღია კონკურსის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო შერჩეულ კანდიდატებს წარუდგენდა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 10 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავდა საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა, რომელთაც საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევდა საქართველოს პარლამენტი. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევა ხდებოდა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგის,

<sup>39</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში 1999 წლის 5 მარტის ცვლილებები.

<sup>40</sup>2005 წლის 23 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით.

<sup>41</sup>2004 წლის 12 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით.

<sup>42</sup>„საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 1997 წლის რედაქცია; დამატებით, 2004 წლის 30 ივნისის საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა და დაზუსტდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანის უფლებამოსილებები.

<sup>43</sup>2007 წლის 19 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებები.

<sup>44</sup>1999 წლის 28 მაისის საკანონმდებლო ცვლილებები

<sup>45</sup>2002 წლის საკანონმდებლო ცვლილებები



კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაციის, პროფესიული გამოცდილებისა და ფიზიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე. ამასთან, შერჩეული ან დანიშნული მოსამართლე თანამდებობის დაკავებამდე ვალდებული იყო, ორთვიანი სპეციალური სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად გაეცლო. მოგვიანებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრი სამოსამართლო სწავლების ცენტრად ჩამოყალიბდა. 2005 წლის 28 დეკემბერს ძალაში შევიდა კანონი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ შესახებ, რომელმაც დამოუკიდებელ, ცალკე დაწესებულებად ჩამოაყალიბა იუსტიციის უმაღლესი სკოლა და საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნა პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიულ მომზადებას უზრუნველყოფდა.

საერთო სასამართლოების სისტემაში დისციპლინური დევნის აღძვრის უფლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, <sup>46</sup> ასევე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს<sup>47</sup> გააჩნდა. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი საჩივრის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში<sup>48</sup> იწყებდა დისციპლინურ დევნას მოსამართლის მიმართ. დისციპლინური დევნის დაწყების შემდეგ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ აღძრულ დისციპლინურ საქმეებს განიხილავდა საქართველოს მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია 3 მოსამართლის შემადგენლობით, რომელსაც ირჩევდა მოსამართლეთა კონფერენცია 4 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ 2000 წლის 15 აპრილიდან ამოქმედდა კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, რომლის შესაბამისად განისაზღვრებოდა საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სამართალწარმოების წესი. კანონის მიხედვით დაზუსტდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შესაბამისი განცხადების საფუძველზე ყველა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა.

2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი, დღეს მოქმედი კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. ახალი კანონის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებით განისაზღვრა, ასევე უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა დიდი პალატა, ნაცვლად საზედამხედველო პალატისა, <sup>49</sup> და დაემატა სადისციპლინო პალატა, რომელიც დისციპლინური კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იხილავდა. შეიცვალა რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა დანიშვნის წესი, მოსამართლეებს კონკურსის წესით იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავდა 10 წლის ვადით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას დაემატა 1 წევრი, რომელიც საპარლამენტო უმცირესობის ფრაქციათა მიერ იყო არჩეული.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე დაცვისა და

<sup>46</sup>საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლის მიმართ.

<sup>47</sup>სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე რაიონული და საოლქო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ.

<sup>48</sup>მოსამართლის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა, საქმის განხილვის, აგრეთვე სასამართლო აქტების შედგენისა და გაცემის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევა.

<sup>49</sup>დიდი პალატა განიხილავს, თუ საქმე შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

ბრალდების მხარეების პროცესუალური უფლებების გათანაბრებას და მოსამართლის, როგორც არბიტრის, როლის განსაზღვრას გულისხმობდა, ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საერთო სასამართლოების სისტემაში. კერძოდ, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულების შემთხვევაში, ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე საქმე, გადაეცემოდა 12 ნაფიცი მსაჯულისგან შემდგარ სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებების მიხედვით, მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ გამწესებამდე კანონით გათვალისწინებულ იქნა მოსამართლის გამწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.

მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმა გაგრძელდა ე.წ. „ტალღების“ სახელით. 2012 წლის ნოემბერში იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2013 წლის მაისში. აღსანიშნავია, რომ დასაშვები გახდა სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, გაიზარდა მოსამართლეთა ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის ფორმირების წესი, გაიზარდა მოსამართლეთა ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებისა და, ზოგადად, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რეფორმის მეორე ეტაპზე, კონსტიტუციით განსაზღვრული შესაძლებლობის შესაბამისად, დადგინდა მოსამართლის გამწესება 3 წლის ვადით. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა თანამდებობაზე სამი წლით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბება და ამოქმედება. მნიშვნელოვანი იყო სასამართლოსთვის 2014 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი, რომელიც ასევე გულისხმობდა მართლმსაჯულების განხორციელებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, მათ შორის-სასამართლოში.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც დაიწყო 2016 წლის 28 დეკემბერს, ითვალისწინებს: დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სამართალწარმოების პროცედურის დახვეწას, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედებას, საქმეების შემთხვევითი ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვას, მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და მახასიათებლების კანონმდებლობით განსაზღვრას, მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნას,<sup>50</sup> უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმების გაფართოებას. „მესამე ტალღის“ მიხედვით, თანამდებობაზე გამწესების 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს როგორც მოქმედ, ისე ყოფილ წევრებზე. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე 2017 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი<sup>51</sup> სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება 3 წლის ვადით, რომელიც

<sup>50</sup>დეპარტამენტმა უნდა იზრუნოს სასამართლოების დატვირთულობის, საქმეთა ნაკადის მართვის, მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებაზე.

<sup>51</sup>„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4<sup>1</sup> პუნქტის ნორმატიული შინაარსი.

მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე იყო და სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ჰქონდა.

## დანართი 2

სტრატეგიული კომიტეტის წევრებისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილე პირების ჩამონათვალი<sup>52</sup>

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	თანამდებობა
1	ნინო გვენეტაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
2	ლევან მურუსიძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
3	კახაბერ სოფრომაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
4	ევა გოცირიძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
5	თამარ ალანია	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
6	ვახტანგ მჭედლიშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
7	ვახტანგ თორდია	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
8	შოთა გეწაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
9	მერაბ გაბინაშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
10	სერგო მეთოფიშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
11	ლევან თევზაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
12	გოჩა მამულაშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
13	შოთა ქადაგიძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
14	გიორგი მიქაუტაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
15	რევაზ ნადარია	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
16	ალექსანდრე წულაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი
17	თინათინ აბრალვა	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის უფროსი
18	შორენა გიგაური	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

<sup>52</sup>სია შესაძლოა, საჭიროებდეს განახლებასა და დაზუსტებას

19	თამარ სულაქველიძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
20	ვალერიან გავაშელი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის უფროსი
21	ილია დევიძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
22	გიორგი პავლაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
23	უმანგ ბახტაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი
24	ნათია ზურაბაშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	კომიტეტის სამდივნო
25	თინათინ ბეჟაშვილი	საქართველოს უზენაესი სასამართლო	მენეჯერი
26	გიორგი კოპალიანი	თბილისის სააპელაციო სასამართლო	მენეჯერი
27	მარიამ ცქიფურიშვილი	თბილისის საქალაქო სასამართლო	მენეჯერი
28	ანა შალამბერიძე	საქართველოს უზენაესი სასამართლო	კონსულტანტი - ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატორი
29	შოთა ქარჩავა	საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	დეპარტამენტის თავმჯდომარე
30	ილონა თოდუა	საქალაქო სასამართლო	მოსამართლე
31	პაატა სილაგაძე	უზენაესი სასამართლო	მოსამართლე
32	ანა დოლიძე	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი
33	ზურაბ მაჭარაძე	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე
34	კახა კოჭორიძე	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების საკითხებში
35	ზურაბ დეკანოიძე	პარლამენტი	იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი
36	ირინე წაქაძე	იუსტიციის სამინისტრო	სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი
37	ეკატერინე გუნცაძე	ფინანსთა სამინისტრო	საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი
38	შორენა პეტავა	შინაგან საქმეთა სამინისტრო	იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი
39	ნათია სონღულაშვილი	მთავარი პროკურატურა	საგამომიებო დეპარტამენტის

			საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
40	ნატალია ჯალიაშვილი	მთავრობის ადმინისტრაცია	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს უფროსი
41	ლაშა მადრაძე	იუსტიციის უმაღლესი სკოლა	დირექტორი
42	დავით ჯაიანი	იუსტიციის უმაღლესი სკოლა	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
43	ნინო ხოფერია	საქართველოს ნოტარიუსთა პალატა	თავმჯდომარე
44	ლევან მესხორაძე	სახალხო დამცველის აპარატი	ხელმძღვანელი
45	მაია ბაქრაძე	UJG	ადმინისტრაციული დირექტორი
46	მირანდა ერემაძე	სააპელაციო სასამართლო	მოსამართლე
47	თეა ხამხაძე	საქართველოს მოსამართლეთა ერთობა	
48	მელიტონ ბენიძე	იურიდიული დახმარების სამსახური	სამსახურის უფროსი
49	ირაკლი შონია	იურიდიული დახმარების სამსახური	დირექტორის მოადგილე
50	ეკა ციმაკურიძე	საია	
51	ანა ნაცვლიშვილი	საია	თავმჯდომარე
52	თამარ სადრაძე	საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	ასოციაციის საპარლამენტო მდივანი
53	ეკა არეშიძე	საქალაქო სასამართლო	მოსამართლე
54	ნიკოლოზ ლეგაშვილი	კონსტიტუციის 42-ე მუხლი	
55	არჩილ ჩოფიკაშვილი	კონსტიტუციის 42-ე მუხლი	
56	ირაკლი გვარამაძე	კონსტიტუციის 42-ე მუხლი	
57	გიორგი ბერაია	საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო; TI-G	
58	ოლიგო შერმადინი	საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო; TI-G	
59	სოფო ვერძელი	ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი	
60	ქეთი კუკავა	ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი	
61	ანა აბაშიძე	პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის	

62	ანა არგანაშვილი	პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის	
63	გიორგი დავითური	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	
64	საბა ბუაძე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	
65	სულხან გამყრელიძე	IRZ;	პროექტის კოორდინატორი
66	კახა წიქარიშვილი	UNDP	
67	რუსუდან ტუშური	UNDP	პროექტის კოორდინატორი
68	რენატე ვინტერი	EU4JUSTICE	
69	მაია ჩოჩუა	EU4JUSTICE	
70	ნინი გოგიბერიძე	EU4JUSTICE	
71	თამარ ზოდელავა	GIZ	სამართლის პროგრამის უფროსი მრჩეველი
72	ინგა თოდრია	PROLOG	პროექტის მართლმსაჯულების რეფორმის მრჩეველი
73	გიორგი ჩხეიძე	PROLOG	პროექტის ხელმძღვანელი
74	ეკა ონიანი	PROLOG	
75	რუსუდან ტაბატაძე	USAID;	
76	სოფიო წაქაძე	COE	
77	ეთუნა ჩაჩანიძე	GIZ	
78	იენს დეპე	GIZ	სამართლის პროგრამის საქართველოს ჯგუფის ხელმძღვანელი

### დანართი 3

#### გამოყენებული დოკუმენტები და სხვა მასალა:

1. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაცია საბჭო (CCJE) - დასკვნა #1 (2001)- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელობის სტანდარტების შესახებ.
2. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #2 (2001) - სასამართლო ორგანოების ეფექტურობის უზურნველსაყოფად, სასამართლოების დაფინანსებისა და მართვის შესახებ, სასამართლო კორპუსის ეფექტიანობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესრულების თაობაზე.

3. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #4 (2003) - ეროვნულ და ევროპულ დონეზე მოსამართლეთა ჯეროვანი პირველადი მომზადებისა და ადგილზე გადამზადების შესახებ.
4. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #6(2004) - გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის და სასამართლო პროცესში მოსამართლის როლის შესახებ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გათვალისწინებით.
5. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #7(2005) - მართლმსაჯულებისა და საზოგადოების შესახებ.
6. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #10 (2007) - მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში.
7. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #11 (2008) - სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ;
8. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #13 (2010) - მოსამართლეთა როლზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში.
9. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #14 (2011) - „მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)“.
10. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #16 (2013) - მოსამართლეებისა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ.
11. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #17 (2014) - მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, მართლმსაჯულების ხარისხისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემის შესახებ.
12. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა #12 (2009) და ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (CCPE) - დასკვნა #4 (2009) - დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის ურთიერთობის შესახებ.
13. ევროპული კომისია სამართლის მეშვეობის დემოკრატიისათვის (ვენეციის კომისია); ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DGI) ერთობლივი დასკვნა - „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე -CDL-AD(2014)032 რომი, 10-11 ოქტომბერი, 2014 წ.)
14. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) – “საქართველოს სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება, 2012.
15. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6; 20 მაისი 1999;
16. საქართველოს მთავრობის განკარგულება -ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას

- და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.
17. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) - დასკვნა N3 - მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუჯერძობლობის შესახებ, 2002;
  18. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)- დასკვნა N1-სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელი სტანდარტების შესახებ, 2001;
  19. ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, (სტრასბურგი, 1998);
  20. იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სასამართლო რეფორმის სტრატეგია 2016-2020;
  21. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის N4 ანგარიში - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2016;
  22. მონტენეგროს სასამართლო სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017-2018;
  23. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები 2001;
  24. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიში (ნაწილი 1): მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 82-3 პლენარულ სხდომაზე (ვენეცია 12-13 მარტი, 2010);
  25. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2017-2018;
  26. საქართველოს მთავრობა- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისთვის;
  27. ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საკითხთა გენერალური დირექტორატი მონიტორინგის დირექტორატი, ქვეყნების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO), შეფასების მეორე რაუნდი, შესრულების შესაბამისობის ანგარიში საქართველოზე, GRECO RC-II(2008)9E (სტრასბურგი, 15 მაისი 2009);
  28. ევროპის საბჭო - მესამე რაუნდის შეფასება, რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, საქართველო „კრიმინალიზაცია (ETS 173 და 191, GPC 2)“, „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა“, (სტრასბურგი, 17-21 ივნისი, 2013);
  29. ადამიანის უფლებებისა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო- ერთობლივი დოკუმენტი: მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი (ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი პრაქტიკა) თბილისი, 2014;
  30. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) - მოსაზრებები „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმწიფადობის წესის“ პროექტთან დაკავშირებით, 2016;
  31. კოალიციის "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" კომენტარები სასამართლო სისტემის განვითარების ძირითადი ამსახველი ამოცანების თაობაზე, 2016;



32. კოალიციის "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" მოსაზრებები მართლმსაჯულების სტრატეგიის და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებელი კომიტეტისთვის;
33. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და რეკომენდაციები, 2016;
34. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის რეკომენდაციები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებზე;
35. სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში;
36. მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გაუმჯობესება საქართველოში: გამოსავლის დეტალური ეტაპობრივი განმარტება, JILEP-ის პროექტი 2013 წელი;
37. სასამართლო სისტემის ადმინისტრირებისა და მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციების გამიჯვნა ძირითადი რეკომენდაციები (წარდგენილი USAID მიერ დაფინანსებული EWMI-JILEP მიერ);
38. საქართველოს სასამართლო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგია, მხარდაჭერილი სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტი (USAID JAMR) 2011;
39. კომუნიკაციის სტანდარტების შესრულების შემოწმება სასამართლოში, მხარდაჭერილი სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტით (USAID JAMR) 2011;
40. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების დოკუმენტი "უფასო იურიდიული დახმარების შემოღება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე" 2014;
41. ევროსაბჭოს სახელმძღვანელო სასამართლოს ხელმისაწვდომობის თაობაზე 2016;
42. დამოუკიდებულება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საქართველოში: ფართო საზოგადოების, იურისტების და ბიზნეს ლიდერების შეფასება, მაისი, 2014, USAID, JILEP;
43. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) შესრულებული კვლევა-მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში: იურიდიული პროცესის წარმომადგენლების შეხედულებები, დაფინანსებული USAID, PROLoG-ის მიერ, 2016;
44. მართლმსაჯულების რეფორმის პრიორიტეტები USAID PROLoG, 2015;
45. რეკომენდაციები სისხლის სამართლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის;
46. სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის 2013 წლის სტრატეგია, USAID, PROLoG;
47. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის (OHCHR) ოფისის ადგილობრივი ექსპერტის დოკუმენტი „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება“ 2016;
48. თბილისის სააპელაციო სასამართლო, საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების 2014-2015 წლის სამოქმედო გეგმა;

49. American Bar Association – Black Letter Guidelines for the evaluation of judicial performance; February 2005.
50. Beijing Statement of the Independence of the Judiciary in the LAWASIA Region Beijing; 19 August 1995.
51. European Commission for Democracy through Law (Venice Commission); Opinion on the Draft Code on Judicial Ethics of the Republic of Tajikistan - CDL-AD (2013)035; (Venice, 6-7 December 2013).
52. European Commission for Democracy through Law (Venice Commission); Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights And Rule Of Law Of The Council Of Europe; OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR); Joint Opinion On The Draft Law On Disciplinary Liabilities Of Judges Of The Republic Of Moldova- CDL-AD (2014)006; (Venice, 21-22 March 2014).
53. European Commission for Democracy through Law (Venice Commission); OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR); Joint Opinion On The Draft Amendments To The Legal Framework On The Disciplinary Responsibility Of Judges In The Kyrgyz Republic – CDL-AD (2014) 018; (Venice, 13-14 June 2014).
54. European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) – Monitoring and Evaluation of Court System: A comparative Study (December 2007).
55. European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) – Resolution No.1 on a modern, transparent and efficient justice, MJU-30 (2010) RESOL.1– 30<sup>th</sup> council of Europe conference of ministers of justice (Istanbul, 24-26 November 2010).
56. European Commission for the efficiency of Justice (CEPEJ) – CEPEJ Guidelines
57. Judicial Training and Education Assessment Tool – Meeting the Changing Training Needs of Judges in Europe – Draft report prepared for CEPEJ by the Judicial Studies Alliance; (1 October, 2007)
58. Exploratory study on the position of: Court President, Court Manager, Judicial Assistant and Media Spokespersons in Selected Council of Europe Member States – Report by Marco Fabri (18 September, 2013);
59. Workshop on Judicial Training Session I – Learning and Accessing EU Law – Compilation of Briefing notes – Directorate-General for internal policies; Policy department citizens’ rights and constitutional affairs, 2013;
60. Judicial Writing Manual – Federal Judicial Center (September 2013)
61. European Networks of Councils for the Judiciary (ENCJ) – Independence and Accountability of the Judiciary and of the Prosecution – Performance Indicators 2015, ENCJ reports 2014-2015;
62. European Networks of Councils for the Judiciary (ENCJ) – Independence and Accountability of the Judiciary – ENCJ reports 2013-2014;
63. European Networks of Councils for the Judiciary (ENCJ) – Judicial Ethics Report 2008-2009;
64. European Networks of Councils for the Judiciary (ENCJ) – Judicial Ethics Report 2009-2010;

65. Judicial Evaluation in Context: Principles, Practices and Promise in Nine European Countries – Richard Mohr and Francesco Contini, *European Journal of Legal studies*, 2007;
66. Review of Judicial Training and Education in Other Jurisdictions – Dr. Cheryl Thomas, May, 2006;
67. European Networks of Councils for the Judiciary (ENCJ) – Liability of Judges, 2008;
68. Manual on Independence, Impartiality and Integrity of Justice: A thematic compilation of international standards, policies and best practices, CEELI institute Prague, advancing the rule of law, June 2015;
69. Methodology for the evaluation of judges – Council of presidents of all judges’ councils in the republic of Croatia. (Zagreb, 26 September 2007);
70. European Networks of Councils for the Judiciary (ENCJ) – Minimum Judicial Standards V, Disciplinary proceedings and liability of judges – ENCJ Report 2014-2015;
71. Assessing the need for the Judges and court support staff – National Center for State Courts 1996;
72. Human recourses in courts – Gerald B. Kuban, National Center for State Courts, 2001;
73. National Center for State Courts (NCSC) – Improving The Judiciary Through Performance Evaluations, 2002;
74. National Center for State Courts (NCSC) – Workload Assessment Report, November 15, 2013;
75. Scottish Courts and Tribunals – Customer service excellence standards;
76. Study on the Recent Practice on Funding the Judicial System, Taking into Account International Practices of Funding the Judicial System – Rule of Law Institutional Strengthening Program (ROLISP) – USAID, November 2013;
77. National Center for State Courts- Principles for Judicial Administration, July 2012;
78. Good Budgeting, Better Justice: Modern Budget Practices for the Judicial Sector – David Webber, Law and Development working paper series no.3
79. National Center for State Courts – Principles for Judicial Administration: Governance, Case Administration, Essential Functions and Funding; Draft report July 2010; Judicial Administration and management Reform (JAMR) project.
80. United Nations General Assembly- Human rights in the administration of justice resolution: A/RES/40/146, 13 December 1985;
81. Council of Europe: Recommendation CM/ Rec (2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: Independence, Efficiency and Responsibilities. 2010;
82. Council of Europe Committee of Ministers, Recommendation No. R(94) 12 of the committee of ministers to member states on the independence, efficiency and role of judges, 1994;
83. Judicial Training Strategy 2010-2015; Supreme Court Republic of Estonia;
84. Michigan Supreme Court, State Court Administrative Office – Judicial Resources Recommendations , June 2013;

85. Minnesota Sentencing Guidelines and Commentary- August 1 2015;
86. Organization for Security and Co-operation in Europe, OSCE Mission in Kosovo- Execution of Judgments, January, 2012;
87. Organization for economic co-operation and development (OECD) anti-corruption network for eastern Europe and central Asia Istanbul anti-corruption action plan – Third round of monitoring, Georgia monitoring report, September 2013;
88. Organization for economic co-operation and development (OECD) anti-corruption network for eastern Europe and central Asia Istanbul anti-corruption action plan – Second round of monitoring, Georgia monitoring report, March 2010;